გაზეთი ბევრის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№72 (828) 28 – 30 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**

# ირინა ენუქიძე: „გულნატკენი ვარ, რომ ჩემს ტრაგედიაზე პრეზიდენტს და ნინო ბურჯანაძეს განცხადება არასოდეს გაუკეთებიათ!“





„პრეზიდენტიდან დაწყებული, უმრავლესობა და მთელი პარლამენტი მედნიკოვს ყველა ხელს აფარებს, პრეზიდენტს თუ სურს, თავი გადაირჩინოს, დამკვეთები დასაჯოს!“

გვ. 5

## ვაგონშემკეთებელ ქარხანაში სკანდალი გრძელდება

**სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე ბრალდებებს პასუხობს**

გვ. 6–7




საყვარელიძეს სააკაშვილი-ნოღაიდელი-ბეჟუაშვილი, ბადრი წილოსანს კი კეზერაშვილი-ეზუგბაია მფარველობდნენ?

## თბილისის ქუჩებში სისწრაფის განმსაზღვრელი ახალი რადარები დამონტაჟდა



გვ. 4

## საგზაო წესების დარღვევისთვის ჯარიმები მცირდება

გვ. 10

## „უპრეცედენტო კორუფციული სქემა“ უგულავას უწყებაში

მერიისა და საკრებულოს 30-მდე თანამშრომელს 50 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვაში ედება ბრალი

გვ. 4

## „საკონცენტრაციო ბანაკში გამოგვამწყვდიეს, ჩვენი დახოცვა სურთ!“

ერისთავის №8-ში მაცხოვრებლები ბიძინა ივანიშვილს შველას სთხოვენ!

გვ. 12

მედიის შუქნიშანი

## სახელმწიფო ძვალი სვავი რექტორისთვის!!!




გვ. 8–9

„მერაბ ბერიძისნაირი მექრთამე პიროვნების მხილება, ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია...“

## როგორ გასხვისდა ლენტეხის კინოსახლი 27 500 ლარად და ვინ დგას „კორუფციული“ ბიზნესგარიგების უკან?



გვ. 3

# „დარწმუნებული ვარ, წინ წავიწევთ! ნატო-ს კარი საქართველოსთვის ღია რჩება!“



## ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ორდღიანი ვიზიტის დეტალები და ანდერს ფოგ რასმუსენის მთავარი მესიჯები

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლებს, 26 ივნისს, თბილისის აეროპორტში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, ნატო-ში საქართველოს ელჩი გეგა მგალობლიშვილი, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი... დახვდნენ. საქართველოში ჩამოსულ დელეგაციას ნატო-ს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობდა, რომელმაც პირველი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან გამართა. რასმუსენი-ივანიშვილის შეხვედრა, „რედისონთან“ გამართული ორი აქციის ფონზე წარიმართა — მოქალაქეთა მცირე ჯგუფმა, ლოზუნგით „გამოიყვანეთ ჯარი!“ ISAF-ის სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობა გააპროტესტა და ავღანეთიდან ქართული ჯარის გამოყვანა მოითხოვა. მეორე აქციის მონაწილე ასევე მცირერიცხოვანი ჯგუფი კი, ნატოს გენერალურ მდივანს ალიანსში საქართველოს მიღებას სთხოვდა. ისინი აქციაზე მივიდნენ პლაკატებით: **„ნატო საქართველოს მომავალია“, „ივანიშვილი პუტინის მონაა“.**





საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა და ღონისძიება გაიმართა. 26 ივნისს, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ჩატარდა. მოგვიანებით კი, სტუმრებისთვის რუსთაველის თეატრში ღონისძიება გაიმართა, რომელიც მედიისთვის დახურული იყო. ღონისძიებაზე რასმუსენსა და სტუმრებს, „სუხიშვილების“ ცეკვის ცქერით დატკბობის საშუალებაც მიეცათ. ნინო სუხიშვილი კი, რასმუსენის მეუღლეს პირადად შეხვდა. ამის სურვილი, ნატო-ს გენერალური მდივნის მეუღლემ, რომელიც ყოფილი მოცეკვავეა, თავად გამოთქვა. სტუმრად ჩამოსულ ქალბატონს შეხვედრა ცალ-ცალკე მოუწყვეს ქვეყნის პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა და პრემიერის მეუღლე ეკა ხვედელიძემ.

27 ივნისს, ჩრდილოატლანტიკური საბჭო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებს, კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდა. იმავე დღეს, ანდერს ფოგ რასმუსენი, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სიტყვით გამოვიდა და სტუდენტების შეკითხვებსაც უპასუხა. ნატო-ს ელჩები შეხვდნენ სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, უმცირესობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც.

27 ივნისსვე გაიმართა არაფორმალური სამუშაო სადილი საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან. რასმუსენი მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდა და მასთან, ერთობლივი პრესკონფერენციაც გამართა.

სტუმრების თანდასწრებით, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ნატოში ინტეგრაცია არის თემა, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას აერთიანებს. ეს ფაქტი, რასმუსენმა მოიწონა და განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტს რთული პერიოდი უდგას. დელეგაციის წევრმა, ნატო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ კი განაცხადა, რომ **„პარლამენტში დავითები კარგ საქმეს აკეთებენ“.**

ბიძინა ივანიშვილმა გვამცნო, რასმუსენი დავარწმუნე, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაცილებით უკეთესი იქნება, ნატო-ში ინტეგრაციის სურვილი კი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას არ უშლის ხელსო: **„ეს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მესამე შეხვედრაა, რომელიც საქართველოში იმართება. ასეთი შეხვედრები ამტკიცებს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ნატო-ს წევრები იჩენენ საქართველოს მიმართ. თავის მხრივ, საქართველოც თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს, რომ რაც შეიძლება მალე გახდეს ამ ძალიან ღირსეული ალიანსის წევრი. გენერალური მდივანი დავარწმუნე, რომ გაცილებით უკეთესი და ევროპული ტიპის იქნება საპრეზიდენტო არჩევნები. ეს იქნება ბოლო წერტილი იმისთვის, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა, საერთაშორისო თანამეგობრობამ დაინახოს ახალი ხელისუფლების საბოლოო სახე. ეს გაგვიიოლებს ნატო-სკენ წინსვლას“.** ბიძინა ივანიშვილისვე თქმით, ქართველი სამხედროები ავღანეთში სამსახურს 2014 წლის შემდეგაც გააგრძელებენ.

დავით უსუფაშვილმა მთავარი აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ საქართველოს საგარეო კურსი უცვლელია და ქვეყანა, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს ალიანსისკენ.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის „ნატო-ში გაწევრიანების სკეპტიკოსებს“ მიმართა: **„რადგან პროპაგანდა წამოვიდა, თითქოს ნატო არის ჰორიზონტი, რომელსაც რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო შორდები, მინდა სკეპტიკოსებს ვუთხრა, რომ ასე არაა. საქართველოში გენერალური მდივნის ყველა ვიზიტი, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ყველა ჩამოსვლა, ყველა მინისტერიალი, რომელიც ბრიუსელში იმართება, ეს არის საქართველოს მეტი ინტეგრაცია ყველაზე გავლენიან, ძლიერ სამხედრო პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ეს არის მეტი დაახლოვება, ეს არის მეტი უსაფრთხოების გარანტია საქართველოსთვის, მეტი რწმენის გამოხატულება საქართველოს გრძელვადიანი მომავლისთვის“.**

რაც შეეხება თავად ანდერს ფოგ რასმუსენს — ნატო-ს გენერალური მდივნის მთავარი მესიჯები ასეთია: **„ნატო-საქართველოს კომისიის ჩარჩოებში ჩვენ ვთანამშრომლობთ იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც 2008 წელს ნატო-ს სამიტზე დაისახა. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველომ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. დარწმუნებული ვარ, წინ წავიწევთ. ნატო-ს კარი რჩება ღია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს“.**

ანდერს ფოგ რასმუსენმა გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. საზღვარს წევს: **„ძალიან ხშირად არ მესმის, კრემლი რა გადაწყვეტილებებს იღებს და რატომ“.**

რასმუსენმა ზოგი პოლიტიკოსის ინიციატივაც შეაფასა, პარტია ნაციონალების აკრძალვასთან დაკავშირებით. მისი თქმით, რომელი პარტია უნდა იყოს პარლამენტში, ამას ამომრჩეველი წყვეტს. ნამდვილი დემოკრატია კი, ასევე გულისხმობს პოლიტიკური უმცირესობების პატივისცემას, დიალოგისა და კოჰაბიტაციის მეშვეობით.

ნატო-ს დელეგაცია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ სამხედროების ცერემონიასაც დაესწრო, რომლებიც მომავალში ავღანეთში გაემგზავრებიან. რასმუსენმა ავღანეთში საქართველოს მისიასთან დაკავშირებითაც ისაუბრა და ქართველ ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა. განაცხადა, რომ ავღანეთის ჯარები უკვე საკუთარ თავზე იღებს უსაფრთხოებაზე ზრუნვას მთელი ქვეყნის მასშტაბით: **„საქართველომ ტრაგიკული დანაკლისი განიცადა. მწუხარებას გამოვთქვამ და მივუსამძიმრებ ოჯახებს საყვარელი ადამიანების დაკარგვის გამო. გამოჯანმრთელებას ვუსურვებ დაჭრილებს. ჩვენ მათ დიდი პატივს ვცემთ“.**



## პაატა ბურჭულაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პაატა ბურჭულაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას სთავაზობს და აცხადებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა: **„დღეს საქართველოს სჭირდება ძლიერი კანდიდატი, რომელიც დააბალანსებს და შეძლებს „ოცნების“ კანდიდატის დამარცხებას. ბურჭულაძე არის ხალხის წიაღიდან წამოსული კანდიდატი და გახდება საქართველოს პრეზიდენტი. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ბატონი პაატა ფიქრობს ამ საკითხზე და ვიმედოვნებ, დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს“.**

ფონდ „იავნანაში“ განაცხადეს, რომ საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის პოლიტიკოსები ამ წინადადებითა და სურვილით ხშირად მიმართავენ პაატა ბურჭულაძეს. თავად პაატა ბურჭულაძე კი, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა არაფერს გამორიცხავს. ჟურნალისტების კითხვაზე, გამორიცხავს თუ არა საკუთარი კანდიდატურის წარდგენას, ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არც მთვარეზე წასვლას გამორიცხავს, რადგან ამ ქვეყნად ყველაფერია შესაძლებელი.

ამასთან, მომღერალმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ის სასცენო იუბილის აღნიშვნისთვის ემზადება, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ, რომ პაატა ბურჭულაძე საპრეზიდენტო კანდიდატად იხილონ, მოცდისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ ამ ეტაპზე მათთვის სასიხარულოს ვერაფერს იტყვის.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

ერთიანი ეროვნული გამოცდები 27 ივნისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო. 06:30 საათზე საგამოცდო ტესტები პოლიციის სამმართველოებიდან საგამოცდო ცენტრებამდე მიიტანეს.

საქართველოს 12 ქალაქში გახსნილ 18 საგამოცდო ცენტრში პირველ სესიაზე 10 ათასზე მეტი აბიტურიენტი გაივლის ტესტირებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცნობით, საგამოცდო პროცესში 1800-ზე მეტი მეთვალყურე და კურატორია ჩართული.

დაახლოებით, ამდენივე აბიტურიენტია მეორე სესიაზე. ყველა საგამოცდო ცენტრში გახსნილია სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით, ნებისმეირი სახის ინციდენტის თავიდან ასაცილებლად კი ცენტრების მიმდებარე ტერიტორიაზე იმორიგევებს სასწრაფო დახმარების მანქანა, სამაშველო სამსახური. წესრიგს კი საპატრულო პოლიცია უზრუნველყოფს.

2013 წლის გამოცდებისთვის სულ 42 000-მდე აბიტურიენტი, 8 000-ზე მეტი გრანტის გაუმჯობესების მსურველი და 9 500-ზე მეტი მაგისტრანტი დარეგისტრირდა.

აბიტურიენტთა უმეტესობამ — 30 000-მდე ახალგაზრდამ, უცხო ენად ინგლისური აირჩია. რაც შეეხება არჩევით საგნებს, ყველაზე მეტი — 14 500-მდე აბიტურიენტი მეოთხე საგნად ისტორიას აბარებს. წელს, უპრეცედენტოდ დიდ რაოდენობას — 11 000-ზე მეტ აპლიკანტს სურს გეოგრაფიის ჩაბარება.

***„ვერსიანიუსი“***

# როგორ გასხვისდა ლენტეხის კინოსახლი 27 500 ლარად და ვინ დგას „კორუფციული“ ბიზნესგარიგების უკან?

ანი დადიანი

**ნაციონალების მიერ ზარ-ზეიმით გაპიარებული „სვანეთის აღორძინების პროგრამა“ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თითქმის ყველას მიავიწყდა. როგორც ჩანს, პოლიტიკოსთა სიმრავლე საქართველოს რეგიონებში წლევანდელ ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გველოდება. თუმცა მანამდე ოცნების საფარველსამოფარებული ფირმებისა და ბიზნესმენების „ოქროს ხანა“ გვიდგას და ზოგი უკანონოდ მიღებული ქონების „გაპრავებას“ ცდილობს და ზოგიც უბრალოდ გაყიდვას, რადგან ყველამ იცის, რომ, ადრე თუ გვიან, არამად ნაშოვნი ლუკმა ყველას ყელზე დაადგება!**

ამჯერად „ვერსია“ ერთი კონკრეტული ფაქტით დაინტერესდა და შეეცადა გაერკვია, თუ რა სქემითა და კორუფციული გარიგებებით მიითვისეს — სს „ქართული ფილმის“ ქონება — ლენტეხში არსებული კინოსახლი, რომლის 2/3 წილის მფლობელი, 2009 წელს, სახელმწიფო სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“ იყო, ხოლო 1/3-ის მესაკუთრე კი სს „ქართული ფილმის“ თანამშრომლები.

**არადა, შენობა იმ პერიოდისთვის უკვე გარემონტებული იყო, რაშიც სულ 58 342 ლარი დაიხარჯა, საიდანაც 34 532 ლარი მსოფლიო ბანკის დაფინანსება იყო (05.04.2010). დოკუმენტების მიხედვით კი სს „ქართული ფილმის“ საკუთრება 27 500 ლარად გაყიდეს და მას შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისი“ დაეპატრონა. ალბათ, ეს ერთი მარტივი ოპერაცია უკვე 27 500 კითხვის ნიშანს აჩენს და კომენტარიც ზედმეტია...**

თუმცა აუცილებელი განმარტება და დაზუსტება სჭირდება იმ ფაქტს, მოხდა თუ არა სს „ქართული ფილმის“ მიერ ქონების გაყიდვამდე მისი აუდიტორული შეფასება... სავარაუდოდ, ალბათ — არა, რაც დარღვევაა და კორუფციული გარიგების ნიშნები ჩანს, რადგან თუ რომელიმე აუდიტორმა ასეთი დასკვნა გააკეთა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ქონება მხოლოდ 27 000 ლარად ვერ შეფასდებოდა.

**ასევე ლენტეხის მუნიციპალიტეტში გაგზავნილია ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის წერილი №16/126/10-10 (27.01.2010 წ.), რომელსაც სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ უგზავნის და სადაც ვკითხულობთ გადაწყვეტილებას, კინოთეატრის ქონების „ქართული ფილმის“ კაპიტალიდან ამოღებისა და მისი მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის შესახებ, რაც არ შესრულდა და ესეც საფუძვლიან ეჭვს იწვევს კორუფციული გარიგებაზე.**

ამ გარიგებიდან ერთ თვის შემდეგ, ლენტეხის მუნიციპალიტეტმა უკვე მესაკუთრე შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისთან“ გააფორმა 3-წლიანი უზუფრუქტის კაბალური ხელშეკრულება №100965678, რაშიც იხდის ქირას 5000 ლარის ოდენობით, ქონებისა თუ სხვა გადასახადებს და ასევე ქონების დაზღვევის თანხას. ახლა ვნახოთ, რა წერია ხელშეკრულებაში და რა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მოშლის და ქონების დაბრუნების საფუძვლები. ხელშეკრულებაში სს „ქართულ ფილმსა“ და შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისს“ შორის ვკითხულობთ:

5.2 „მყიდველი“ ვალდებულია, დაიცვას და ჯეროვნად შეასრულოს შემდეგი პირობები:

**— შეინარჩუნოს პირველი მინიმუმ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში;**

**— მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვის ვადაში (1.10.2011 წ).**

**7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

**7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა „გამყიდველის“ მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.**

**7.4 წინამდებარე ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოშლის შემთხვევაში მყიდველი კარგავს საკუთრების უფლებას გადაცემულ ქონებაზე და მისი გადახდილი „ბე“ ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.**

ახლა ვნახოთ, რა არის ჩაწერილი ხელშეკრულებაში ლენტეხის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისს“ შორის, პუნქტი 1.4: **„უზუფრუქტუარის მიერ ხელშეკრულების საგნით სარგებლობის მიზანია, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა (მათ შორის კინო)“.**

აქ არ აქვთ გადაცემული **გასართობი ცენტრი**, რაც ასევე კანონდარღვევაა, რადგან ხელშეკრულებაში სს „ქართული ფილმსა“ და შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისს“ შორის, პუნქტში 5.2. ჩაწერილია: **„მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვის ვადაში“**. აქედან არც ერთი ვალდებულება მუნიციპალიტეტსა და შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისს“ არა აქვს შესრულებული, რაც იწვევს სს „ქართული ფილმსა“ და შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისს“ შორის დადებული ხელშეკრულების 7.1 — 7.3 — 7.4 პუნქტების ამოქმედებასა და ქონების ჩამორთმევას. ასევე შეუსრულებელია ვალდებულებები, რომელიც გაწერილია 3.1, 3.2, 5.2 მუხლებში (ხელშეკრულება მუნიციპალიტეტსა და შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისს“ შორის). საინტერესოა, რატომ აიღო მუნიციპალიტეტმა შენობა ამდენი ვალდებულებით და რატომ არის შენობა დღემდე დაკეტილი? იმიტომ ხომ არა, რომ ამ გარიგებას სკანდალი არ მოჰყოლოდა?! აქვე აღსანიშნავია, რომ, ამ სამი წლის განმავლობაში, ვალდებულებების შესრულების გარდა, მუნიციპალიტეტს უნდა გადაეხადა გადასახადები და დამატებით შპს „ნისქვილკომბინატი-თბილისისთვის“ ქირა 5000 ლარი და ქონების დაზღვევის თანხა.

არსებული ფაქტების საფუძველზე აშკარაა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, ასევე გაურკვეველია, ვინ უნდა აგოს პასუხი იმისათვის, რომ ლენტეხის რაიონის ახალგაზრდობა ყოველგვარი გასართობი ცენტრისა და კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ჩასატარებელი ადგილის გარეშეა დარჩენილი?!

**კულუარული ინფორმაციით, ცნობილია საქართველოს თავმჯდომარის კავშირები „ნისქვილკომბინატი-თბილისის“ მეპატრონე ჩარქსელიანებთან და ლენტეხის მაჟორიტარ დეპუტატთან გოგი ლიპარტელიანთან, სადაც სწორედ ეს დანაშაულებრივი წრე იკვრება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან „ნისქვილკომბინატი-თბილისი“ არღვევს და არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ხელშეკრულების თანახმად, უნდა მოხდეს მისი ცალმხრივად მოშლა და ქონების დაბრუნება, შემდგომ მუნიციპალიტეტისთვის მისი გადაცემის მიზნით.**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

№ 16/126/10-10

„27“ 01 2010 წ.

სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შემოსულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 24.12.09წ. №511 წერილი, რომელიც ეხება დაბა ლენტეხში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე კინოთეატრის შენობის საკითხს.

გთხოვთ, განიხილოთ და უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სს „ქართული ფილმის“ კაპიტალიდან ამოღება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდგომში მისი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

დანართი: 1 ფურცელი

მინისტრის პირველი მოადგილე — გრიგოლ გობეჯიშვილი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 19
5.4 2010

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. №12 — Tel.: (+995 32) 30 62 61; 30 60 25; 30 62 64; 99 10 88



# თბილისის იმ ქუჩების სია, სადაც სისწრაფის განმსაზღვრელი ახალი რადარები დამონტაჟდა




შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და საკვანძო ადგილებზე, სადაც ყველაზე მეტად არის სიჩქარის გადაჭარბების რისკი, დამონტაჟდა სისწრაფის განმსაზღვრელი 15 ახალი რადარი, რომლებიც 1 ივლისიდან ამოქმედდება. საპატრულო პოლიციის ინფორმაციით, თითოეული რადარის სიახლოვეს განთავსებულია სიჩქარის შეზღუდვის და რადარის მაჩვენებელი საგზაო ნიშნები, რომლებზეც გამოსახულია ვიდეოკამერა და დასაშვები სიჩქარე.

იქიდან გამომდინარე, რომ თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების უმრავლესობის გამომწვევი მიზეზია გადაჭარბებული სიჩქარე და ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა, მივიღეთ გადაწყვეტილება რადარების დამატების შესახებ.

რადარების დამონტაჟება მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მძღოლთა და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის მაქსიმალურად შემცირებას.

საპატრულო პოლიციამ დედაქალქში კიდევ ერთი სიახლე დანერგა — ყველა ქუჩაზე, სადაც დაშვებული იყო 60კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა (გარდა ვაჟა–ფშაველას გამზირისა), დასაშვები სიჩქარე 10 კმ/სთ-ით გაიზარდა. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მძღოლს შეუძლია დადგენილ ზღვარს გადააჭარბოს 15 კმ/სთ სიჩქარით.

რადარის მიერ დაფიქსირებული გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა ფიქსირდება სპეციალური კამერის მეშვეობით და მფლობელს შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმა მისდის რეგისტრაციის ადგილზე. ამავდროულად, საპატრულო პოლიცია საჯარიმო ქვითრის ჩაბარებამდე დამრღვევ მძღოლს SMS-ით აფრთხილებს. ჯარიმის გადახდის ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე, მოქალაქეს SMS-ით მისდის შეხსენება.

ახლო მომავალში საპატრულო პოლიცია ქვეყნის მასშტაბით ცენტრალურ მაგისტრალებსა და ქალაქებში სისწრაფის განმსაზღვრელი ახალი რადარების დამონტაჟებას გეგმავს.

თბილისში კი, ახალი რადარები შემდეგ ადგილებში დამონტაჟდა:

1. კახეთის გზატკეცილი 18 (სამგორის მეტროსთან) 80+15
2. კახეთის გზატკეცილი 39 (პეპელას ხიდი) 80+15
3. მარჯვენა სანაპირო ბაქრაძის ქ. (პაპილონი) 70+15
4. ალმაშენებლის ხეივანი (ახალ ნათებასთან) 80+15
5. ალმაშენებლის ხეივანი (სასოფლოსთან) 80+15
6. ბალანჩინი – შეშელიძის ქუჩები (გლდანის ხიდები) 70+15
7. მარჯვენა სანაპირო (ჯეოსელის ოფისთან) 70+15
8. მარჯვენა სანაპირო (300 არაგველის მემორიალი) 70+15
9. ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის პლატოს დამაკავშირებელი გზა 80+15
10. მარცხენა სანაპირო (შალიკაშვილის ხიდი) 70 +15
11. ვაჟა-ფშაველას გამზ. 36 (სამედიცინო ინსტიტუტი) 60+15

დამონდაჟებული რადარების რუკის ნახვა, შეგიძლიათ შსს-ს ვერგვერდზე www.police.ge

***„ვერსიანიუსი“***

პოლიტიკა

# „უპრეცედენტო კორუფციული სქემა“ უგულავას უწყებაში

## მერიისა და საკრებულოს 30-მდე თანამშრომელს 50 მილიონი ლარის მითვისება-გაფლანგვაში ედება ბრალი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**27 ივნისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა, თბილისის მერიისა და გამგეობის 30-მდე თანამშრომელი „დააკავეს“. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მერიის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე, მოწმის სახით, თბილისის მერიისა და გამგეობების თანამშრომლები დაიკითხნენ. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. აღნიშნული პირები დაბარებულები იყვნენ დაკითხვაზე, რის შემდეგაც საგამოძიებო სამსახური დატოვეს. თბილისის მერმა, გიგი უგულავამ სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ამ ქმედებით, ხელისუფლებას ნაცმოძრაობის წევრების დაშანტაჟება სურდა.**

მერიის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა, ქუჩაში, იძულების წესით, მერიისა და საკრებულოს 22 თანამშრომელი დააკავეს: მერის მოადგილეები დავით ალავიძე, დავით ნინიძე; მამუკა ახვლედიანი — საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნოდარ სანდუხაძე — გლდანის რაიონის გამგებელი, ლექსო თაბუაშვილი — მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი, დავით ავალიანი — თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი, საკრებულოს წევრი ვახტანგ ცაგარეიშვილი, ბესო კვიციანი — ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე, გიორგი ნიკოლაძე — კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ლევან ნებიერიძე — ისნის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, ზურა კიკვაძე — ისნის რაიონის განყოფილების უფროსი, ავთო სულაბერიძე — ლილოს მუნიციპალიტეტის უფროსი, ნიკო აბრამიშვილი — ლილოს მუნიციპალიტეტის უფროსის მოადგილე, ბექა მეშვილდიშვილი — სამგორის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, ვახტანგ გაგუა — საბურთალოს რაიონის გამგეობის მთავარი სპეცილისტი, მიხეილ ქვირია — საბურთალოს რაიონის გამგეობის მთავარი სპეცილისტი, ნიკოლოზ ღვინიანიძე — ავჭალის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მამუკა ბერაძე — გლდანის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე ჩაფიჩაძე — ავჭალის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, გიორგი დარჩია — ნაძალადევის რაიონში ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი, დიმიტრი ჩხეიძე — მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე და ზაზა გუდიაშვილი — ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანამშრომელი, მამუკა თევზაძე.

გამომძიებლებმა დაკავებულებს ბრალი წარუდგინეს და დაკავების ოფიციალურად გაფორმების პროცედურა დაიწყეს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, მოულოდნელად, ეს პროცედურა შეწყვიტეს. თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ ამის შემდეგ, დაკავებული პირები ფორმალურად დაკითხეს, რათა საგამოძიებო ორგანოში, მათი ყოფნის ფაქტი გაემართლებინათ: **„ეს ქმედება თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაა, რაც სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. გამომძიებლებმა დაკავებულებს მათი უფლება-მოვალეობები არ განუმარტეს და ადვოკატით სარგებლობის უფლებაც არ მისცეს. მთავარი პროკურორისგან მოვითხოვთ, ეს საქმე გამოიძიოს, დანაშაულის ჩამდენი პირები დასაჯოს. ეს პოლიტიკური ზეწოლაა“.**

მერიისა და საკრებულოს წევრების დაკავებიდან მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკითხვის შემდეგ, თანამშრომლები გაათავისუფლეს.

დავით ავალიანმა განუცხადა, რომ გამომძიებლებმა შეკითხვები სამუშაოს შესახებ დაუსვეს და ბრალდებაზე საუბარი არ ყოფილა. ავალიანი აცხადებს, რომ დილით, საკუთარ სახლთან დააკავეს და საგამოძიებო სამსახურში ხელბორკილით გადაიყვანეს. ნოდარ სანდუხაძემ კი აღნიშნა, რომ მოწმის სტატუსით, დაკითხვაზე კიდევ ერთხელ უნდა გამოცხადდეს. გოგიტა ნიკოლაძის თქმით, საქმე, რომელზეც იგი მოწმის სტატუსით უნდა დაკითხონ, სახელმწიფო ქონებასთან არის დაკავშირებული. სხვა დეტალები უცნობია. პარალელურად, თბილისის მერმა, გიგი უგულავამ განაცხადა, რომ ნაციონალები უკანონოდ დააკავეს: **„ჩვენი ჩარევის შემდეგ, იმის გამო, რომ საქართველოში მაღალი რანგის დელეგაცია იმყოფება, ბრალი გადააკეთეს“.** თბილისის მერი ომბუდსმენს მიმართავს, ფინანსურში დაბარებულები კი პროკურატურაში სარჩელს შეიტანენ. თბილისის მერი პოლიტიკურ შანტაჟსა და ზეწოლაზე ამახვილებს ყურადღებას. ფინანსთა სამინისტროს




საგამოძიებო სამსახურის მტკიცებით კი, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს 50 მილიონ ლარის მითვისებაში ედებათ ბრალი: **„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური რამდენიმე თვის განმავლობაში, დეტალურად სწავლობს თბილისის ბიუჯეტიდან დედაქალაქის რეაბილიტაციის მიზნით, მერიის მიერ დაფუძნებულ სპეციალურ ფონდებში აკუმულირებული ათეულობით მილიონი ლარის მართლსაწინააღმდეგო განკარგვის ფაქტებს, რომლის ფარგლებში დაწყებული გამოძიებით უტყუარად დადასტურებულია, რომ ქ. თბილისის მერიის მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და დანაშაულებრივი ხელშეწყობით, თბილისის რეაბილიტაციის ფონდიდან, რომლის ყოფილი ხელმძღვანელი იმყოფება მიმალვაში, სხვადასხვა ტიპის თვალთმაქცური ოპერაციების მეშვეობით გაფლანგულია 50 მილიონ ლარზე მეტი, მათ შორის, რამდენიმე ათეული მილიონი ლარი უშუალოდ ბანკებიდან ნაღდი ფულის სახით არის გამოტანილი და, სავარაუდოდ, მითვისებული. ამ უპრეცედენტო კორუფციული საქმის მტკიცებულებებზე, კერძოდ, გამოძიების პროცესში მოპოვებულ ვიდომასალებზე ჩანს, რომ დედაქალაქის მერიის მოხელეები პლასტიკური ბარათების გამოყენებით იტაცებენ თბილისელებისაგან გადასახადების სახით აკრეფილ თანხებს, რომელიც ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა მოხმარებოდა“.**

რაც შეეხება დაკითხვაზე მყოფი პირების პრეტენზიებს, საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლების მტკიცებით, ამ საკითხს უფლებამოსილი ორგანოები შეისწავლიან. თავად საბიუჯეტო თანხების სავარაუდო მითვისება-გაფლანგვის ფაქტთან დაკავშირებით კი, გამოძიება გრძელდება.

# ირინა ენუქიძე: „გულნატკენი ვარ, რომ ჩემს ტრაგედიაზე პრეზიდენტს და ნინო ბურჯანაძეს განცხადება არასოდეს გაუკეთებიათ!“

*საქართველოს შს და უშიშროების ექსმინისტრს, საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრსა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ივანე მერაბიშვილს ბრალი სანდრო გირგვლიანის საქმის მასალებით დაუმძიმდა. 25 ივნისს კი, თბილისის პროკურატურამ სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის გატაცებისა და ოქროყანის სასაფლაოზე ჩადენილი დანაშაულის კიდევ ერთი მონაწილე დააკავა — კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი დავით ქოქიაშვილი. მართალია, მისი ადვოკატი ამტკიცებს, ქოქიაშვილი ოქროყანაში იყო, მაგრამ წამებაში მონაწილეობა არ მიუღიაო, მაგრამ პროკურატურის განმარტებით, ეს პირი დანაშაულში მონაწილეობდა და ეს ფაქტი, ბოლო დრომდე დაფარული იყო. ქოქიაშვილს უკვე წაუყენეს ბრალი წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით. საინტერესოა, თუ ითანამშრომლებს ქოქიაშვილი გამოძიებასთან და რა ჩვენებას მისცემს ახალი მოწმე. მანამდე კი, გენპროკურატურის ოფიციალური ვერსიით, გამოძიებასთან ნინო ბურჯანაძემ ითანამშრომლა და საქმეში ახალი გარემოებებიც სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე გაჩნდა. არადა, ყველა ჟურნალისტს, ვისაც სანდრო გირგვლიანის ოჯახის რომელიმე წევრთან ინტერვიუ ჩაუწერია, კარგად ახსოვს სანდროს დედის — ირინა ენუქიძის განცხადება იმის შესახებ, რომ მან ვერაფრით მიაღწია ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრას. ქალბატონი ირინა მაშინ იმედოვნებდა, რომ მართალია, ორი შვილის დედა, საქართველოს ხელისუფლების მეორე პირი ქალბატონი ხელისუფლების ყველა დანაშაულის საქმის კურსში იყო, თუმცა მის შემზარავ ტრაგედიას გაიზიარებდა და გვერდით დაუდგებოდა... ნინო ბურჯანაძემ შვილმკვდარ დედასთან შეხვედრაც კი ვერ (არ) გაბედა.*

*ორიოდე დღის წინ, საქართველოს მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი სატელევიზიო ინტერვიუში იმ კულუარულ მოლაპარაკებებსა და ბრძოლას იხსენებდა, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეზე ჰქონდა. სუბართან შეიძლება, სხვა უამრავი პრეტენზია ჰქონდეს საზოგადოებას, მაგრამ ფაქტია, ყველა მისი მაშინდელი განცხადება იყო პოზიცია იმ პოლიტიკოსისა და თუნდაც მოქალაქისა, რომელიც ცდილობს, სამართალი აღსრულდეს. ნინო ბურჯანაძე მაშინ დუმდა... დუმდა მანამ, სანამ თავად მას არ შეუქმნეს პრობლემები სანდრო გირგვლიანის მკვლელებმა! საინტერესოა, კიდევ რომელ საქმეებზე მისცემს ჩვენებას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და პრეზიდენტის მოვალეობის ორგზის შემსრულებელი და თუკი საქართველოს პრეზიდენტი გახდა, რამდენი წელი დასჭირდება იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა აიღოს მისი მმართველობის პერიოდში ჩადენილ (ღმერთმა გვაშოროს გირგვლიანის მსგავსი) დანაშაულებზე?! „ვერსია“ დაუკავშირდა ჟურნალისტ ლალი როზომაშვილს, რომელიც დღეს საჯარო სამსახურშია და იმ პერიოდში, პრესაში ყველაზე აქტიურად აშუქებდა გირგვლიანისა და სხვა გახმაურებულ კრიმინალურ პროცესებს. სწორედ მან ჩაწერა ინტერვიუ ქალბატონ ირინა ენუქიძესთან გირგვლიანის საქმეზე სასამართლო განაჩენის შემდეგ. გთავაზობთ საუბრის სრულ ვარიანტს, რომელიც გაზეთ „ახალ ვერსიაში“ გამოქვეყნდა და იბეჭდება ავტორის თავაზიანი ნებართვით.*



## „პრეზიდენტიდან დაწყებული, უმრავლესობა და მთელი პარლამენტი მელნიკოვს ყველა ხელს აფარებს, პრეზიდენტს თუ სურს, თავი გადაირჩინოს, დამკვეთები დასაჯოს!“

**2006 წლის 8 ივლისს, როდესაც სანდრო გირგვლიანის საქმეზე განაჩენი გამოიტანეს, თბილისში, ხალხის მღელვარებამ პიკს მიაღწია. ამ დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი აშშ-ში პრეზიდენტ ბუშს სტუმრობდა, თუმცა გირგვლიანის საქმეზე განაჩენმა სააკაშვილი-ბუშის შეხვედრა სრულად გადაფარა. ჰაერში რევოლუციის სუნი ტრიალებდა... ამ ერთი წლის განმავლობაში საუკუნის პროცესად აღიარებული უმოტივო მკვლელობის განაჩენი თითქმის აღსრულებულია. მართალია, საქმეზე საბოლოო სიტყვას უზენაესი სასამართლო იტყვის, მაგრამ ჭირისუფლებისთვის ილუზიაა, რომ უზენაესი სასამართლო გმირობას გამოიჩენს და რამეს შეცვლის. „ახალი ვერსია“ გარდაცვლილი სანდრო გირგვლიანის დედას, ირინა ენუქიძეს ესაუბრა.**

**— სანდროს მკვლელობის პირველი თვეებიდან თქვენი აქტიურობა თვალშისაცემი იყო, თუმცა თვალშისაცემი ახლა თქვენი დუმილია...**

— არსად დავკარგულვარ, ახლახან სასამართლოში აპელაცია იყო და იმით ვიყავი დაკავებული. მერწმუნეთ, გაჩერებას არ ვაპირებ — მანამ ვიბრძოლებ, სანამ დამკვეთები არ დაისჯებიან.

**— ბრძოლას როგორ აპირებთ, სანდრო გირგვლიანის საქმის ოფიციალური გამოძიება ხომ, ფაქტობრივად, დასრულდა...**

— საქმე დასრულებულად ხელისუფლებას იმიტომ მიაჩნია, რომ არ უნდათ, დამკვეთებს შეეხონ. უზენაეს სასამართლოში საჩივარი ამჟამადაცაა შეტანილი. ამ ინსტანციაში ოთხი ცნობილი პატიმრის ადვოკატი დავით ხაჟალია ჩივის. საჩივარში წერს, რომ ეს ოთხი ყოფილი პოლიციელი დამნაშავე არ არის და სასამართლოს მათ გათავისუფლებას სთხოვს. სხვათა შორის, სასამართლოში სარჩელი ლევან ბუხაიძემაც შეიტანა. საქმე ისაა, რომ სასამართლოს სხდომის ოქმებში წერია, თითქოს ბუხაიძემ მსუბუქი დაზიანებები მიიღო. არადა, არსებობს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ცალსახად წერია, რომ ოქროყანაში მან მძიმე დაზიანებები მიიღო.

**— უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ, საქმეს სტრასბურგში გაასაჩივრებთ?**

— უბედურებაა, რომ ვინც ამ საქმეზე განაჩენი გამოიტანა, მოსამართლეები ჰქვიათ, რადგან ამხელა გახმაურებულ ამბავზე ხელი მოაწერეს. დარწმუნებული ვარ, სხვა საქმეებიც აქვთ გაუკუღმართებული. მიკვირს, როგორ შეიძლება, სანდრო გირგვლიანის საქმე ასეთი უსამართლო ხალხისთვის მიეცათ. მათ იმდენი სიბინძურე გააკეთეს, ველარც კი მალავენ. აქედან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს იმედი არ მაქვს, ამიტომ სტრასბურგის სასამართლოში ვიპოვი სამართალს.

ადეიშვილს პროკურატურის შენობასთან აქცია მოვუწყვეთ. გენპროკურორს კიდევ ერთხელ შევახსენე, გონს მოეგოს. პირადად მას, სანდროს საქმიდან გადამალული ყველა მტკიცებულება თერთმეტ გვერდად გავუგზავნე. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა, მაგრამ ჩემთვის პასუხი არ გაუცია. მისგან ვითხოვ, რომ ოლეგ მელნიკოვზე საქმე აღძრას, რადგან ის უდავოდ ამოცნობილი დამნაშავეა. ამის შესახებ ბუხაიძეს რომც არ ეთქვა, ტრაგედიის მესამე დღეს ვიცოდი, რომ მელნიკოვი ერთ-ერთი მწამებელი იყო, თუმცა, პრეზიდენტიდან დაწყებული, უმრავლესობა და მთელი პარლამენტი მელნიკოვს ყველა ხელს აფარებს. პრეზიდენტს თუ სურს, თავი გადაირჩინოს, დამკვეთები დასაჯოს.

**— აცხადებთ, რომ ბევრი უკანონობა ნახეთ, ყველაზე მეტად ვისზე ხარს გულნატკენი?**

— მათი სია ძალიან დიდია! გულნატკენი ვარ, რომ ჩემს ტრაგედიაზე პრეზიდენტსა და ნინო ბურჯანაძეს განცხადება არასოდეს გაუკეთებიათ. მე ვაჟკაცი გავზარდე, როგორ გგონიათ, შევარჩენ? გულნატკენი კი არა, ასეთ უსამართლობას ოდესმე თუ მოვესწრებოდი, არ მეგონა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ოჯახი ასეთ საშინელებას გადაეყრებოდა. ეს ქვეყანა უსამართლობაზეა აწყობილი, თუ ხალხი არ დამიდგა გვერდით, მხოლოდ ირინა ენუქიძე საქართველოს ვერ გადაარჩენს. ამის იმედი კი, ნამდვილად მაქვს!

**— შსს-ს ოთხ დაკავებულ თანამშრომელზე რას ფიქრობთ?**

— ხელისუფლებაში ბევრი ცუდი ადამიანია, მაგრამ მასში ძალიან ბევრი კარგიცაა. მათ სანდროზე გული შესტკივათ, სწორედ მათ მითხრეს, რომ დაკავებულები თბილად და კარგად არიან მოწყობილები. მათი მდგომარეობა ციხეში ყოფნის გაუსაძლის ყოფას არ ჰგავს. ამ ხალხისგან ვიცი, რომ ისინი თურმე ციხიდან საკუთარ სახლებშიც დადიან. რა თქმა უნდა, ასეც იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ, მათ რომ პირი გააღონ, რა მოხდება. ბუნებრივია, პირდებიან, რომ ვიდრე ოჯახი გაჩერდება, ცოტა ხანს იყვნენ ციხეში და მალე გაიყვანენ. ალბათ, მათთვის ფულიც აქვთ შეთავაზებული. რად უნდა ამას ლაპარაკი, გასაგებიცაა, მათ ხომ დამკვეთები უნდა გადაარჩინონ, მაგრამ მიკვირს, რატომ არიან პრეზიდენტისთვის ასეთი ძვირადღირებულები...

**— ლევან ბუხაიძეზე ჩვენების შეცვლის გამო აღძრული საქმე დღემდე გამოუძიებელია. თქვენი აზრით, რატომ გაიწელა ამდენ ხანს?**

— რა უნდა გამოიძიონ, როდესაც ლევან ბუხაიძეს დღემდე აშინებენ, ურეკავენ და ემუქრებიან, რომ გაჩერდეს და მელნიკოვს თავი დაანებოს. ბუხაიძემ ამაზე საჩივარიც შეიტანა. ტელეფონის ნომრები, საიდანაც ურეკავენ და ემუქრებიან, გამოძიებას მიაწოდა, მაგრამ უპასუხეს, რომ ნომრების დადგენა ვერ შეძლეს.

**— ხელისუფლების წარმომადგენლებიდან თუნდაც მალულად, თქვენდამი თანადგომა არავის გამოუხატავს?**

— გოგა ხაინდრავას გარდა, ჩემდამი ყურადღება აბსოლუტურად არავის გამოუჩენია. ხაინდრავა ვაჟკაცია, ნაღდი ქართველი ოჯახიშვილია, ის სხვა ნაბიჯს არც გადადგამდა, თუმცა, როგორც კი გირგვლიანის პროცესზე გამოჩნდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. სასაცილო ქვეყანაში ვცხოვრობთ და სასაცილო ხელისუფლება გვყავს.

**— გჯერათ, რომ სანდროს მკვლელობის შესახებ სიმართლე ოდესმე სააშკარაოზე გამოვა?**

— გარწმუნებთ, ეს მოხდება! ქართველი ერი ხელისუფლებას ამ სისასტიკეს თუ შეარჩენს, ჩათვალეთ, რომ ეს ქვეყანა დაღუპულია. სანდრო ამ ქვეყნისთვის მაგალითია, მან ხალხს თვალი აუხილა და დაანახა, რა უსამართლობა ტრიალებს საქართველოში და როგორი უძლურია ხალხი. ხელისუფლება ქართველ ხალხს ჩაგრავს. ჩემს შვილზე მე არ უნდა ვამბობდე, მაგრამ სანდრო ამ ქვეყნიდან ჯალათებთან ბრძოლას შეეწირა და გმირულად წავიდა...

**P.S. სტატია დასაბეჭდად გამზადებული იყო, როცა ნინო ბურჯანაძემ, სრულიად სხვა თემაზე პრეკონფერენცია ჩაატარა. ჩვენც, შემთხვევით ვისარგებლეთ და პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ვკითხეთ, თავის დროზე, რატომ არ შეხვდა ირინა ენუქიძეს და რატომ არ გამოხატა პოზიცია სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, თანამდებობაზე ყოფნისას. ნინო ბურჯანაძის პასუხი ასეთია:**

— არასწორი ინფორმაცია გაქვთ. ქალბატონ ირინასთან დაკავშირებით პარლამენტში მხოლოდ ერთხელ შეიქმნა პრობლემა, როცა მან ომბუდსმენის გამოსვლაზე დასწრება მოითხოვა. სამწუხაროდ, ოპოზიციის მაშინდელ ლიდერებს ირინა ენუქიძე შეცდომაში შეჰყავდათ, რადგან ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება მას, მიუხედავად მისი ტრაგედიის სიმძიმისა, არ ჰქონდა. თანაც სხდომა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და ქალბატონ ირინას შეეძლო, სახალხო დამცველისთვის და შემდგომ გამართული დებატებისთვისაც ტელევიზიით მოესმინა. პლენარულ სხდომაზე დასწრებას თუნდაც იმის გამო არ ჰქონდა აზრი, რომ მას ელემენტარულად, კითხვის დასმის საშუალებაც არ ექნებოდა.

**— ირინა ენუქიძე სხდომაზე დასწრების უფლებას კი არა, პირად შეხვედრასაც გთხოვდათ, მაგრამ უარით ისტუმრებდით.**

— არასწორი ინფორმაციაა. სხდომის შემდეგ ჩემს თანაშემწეს დავავალე, ქალბატონ ირინას შეხმიანებოდა და გადაეცა, რომ მასთან საუბარი მინდოდა. ამის თქმა დელიკატურად ვცადე, რადგან კარგად მესმოდა, რამდენად ძნელი იქნებოდა მისთვის ხელისუფლების, თუნდაც აბსოლუტურად უდანაშაულო წარმომადგენელთან შეხვედრა. მასთან შესახვედრად მზად ვიყავი როგორც პარლამენტში, ისე სახლში ან სადმე, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, რაზეც ქალბატონმა ირინამ გვიპასუხა — ახლა შესახვედრად მზად არ ვარო. მესმის, ამის დადასტურება ძნელია, მაგრამ ტყუილს არ ვამბობ. შესაძლოა, ირინა ენუქიძე შეცდომაში შეიყვანეს. სხვათა შორის, მე და ჩემი შვილი ერთ-ერთი ძალიან ახლობლის დაკრძალვაზე ვიყავით, სადაც რამდენიმე მეტრში ქალბატონი ირინაც იდგა. რამდენიმე წუთი თავთან ჭიდილში გავატარე, მინდოდა, მისთვის მომებოდიშა ან თანაგრძნობა გამომეხატა, თუმცა ვერ გავბედე. მოგვიანებით, ახლობლების მეშვეობით, ბოდიში შევუთვალე და გადავეცი — არ ვიცი, ამას რას დაარქმევთ, უბრალოდ, არ მეყო გამბედაობა ან თავხედობა-მეთქი, მაგრამ, როცა ჩემი შვილი გვერდით მედგა, თქვენთან ვერ მოვედი და ვერაფერი გითხარით. რა უნდა მეთქვა? უკაცრავად, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ შვილი მოგიკლათ და საქმეს წესიერად არც იძიებს-მეთქი? დღეს მართლაც ვწუხვარ, რომ მაშინ ქალბატონ ირინასთან ვერ მივედი.

**— იმის გამბედაობაც არ გეყოთ, პარლამენტის თავმჯდომარეს, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, პოზიცია საჯაროდ გამოგეხატათ?**

— გაჩუმებული არასოდეს ვყოფილვარ. ვიმეორებ, მაშინ ქალბატონ ირინასთან მდგომ ადამიანებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ყველა ისრის მომართვას ჩემ წინააღმდეგ ცდილობდნენ. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ვიყავი ხელისუფლების ერთადერთი მაღალი რანგის წარმომადგენელი, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიებას კატეგორიულად მოითხოვდა.

**— საჯარო განცხადება რატომ არ გააკეთეთ, ახლა ხომ არ გიჭირთ მაშინდელი დეტალების საჯაროდ გახსენება?**

— ქულები ჩამეწერა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე საუბრით? გპასუხობთ და მიიღეთ პასუხი ისე, როგორც არის. არ ვაპირებ ამ თემაზე სპეკულაციებს. მაშინ გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც შემეძლო, გამოძიების საქმეში კი ვერ ჩავერეოდი. როცა იმაზე მეტი ადამიანის დასჯას ვითხოვდი, ვიდრე მაშინ დააკავეს, კონტრშეკითხვებს მისვამდნენ — გამოძიებამ ასე დაადგინა, ადამიანებმა ბრალი აღიარეს და სხვები დავსაჯოთ იმიტომ, რომ თქვენ ასე გინდათ და ხალხიც ასე ფიქრობს? არ ვარ პროკურორი. არც გამომძიებელი, ამიტომ იმას ვაკეთებდი, რაც შემეძლო. თუმცა გეთანხმებით, ამ თემაზე ხმამაღლა რომ მეყვირა, ქულებს მეც ჩავიწერდი, მაგრამ ორი შვილის დედა ვარ და მსგავს რამეს არასოდეს გავაკეთებ.



## ელენე თევდორაძე სკანდალურ განცხადებებს აკეთებს

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. მან 2005 წელს ვანო მერაბიშვილთან საუბრის დეტალები გაიხსენა — მერაბიშვილმა მოკლული ახალგაზრდების საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, სანამ მათნაირ 200 ბანდიტს მიწაში არ ჩავაწვენ, არ მოვისვენებო.

თევდორაძე 2006 წლის ციხის ბუნტის შესახებაც საუბრობს და იხსენებს, თუ რა ვითარებაში დაიწყო სროლა. გიგა ბოკერიასთან შეხვედრისას კი, ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ პატიმართა რიცხვი 24 ათასამდე უნდა გაზრდილიყო, რის შედეგადაც, საქართველო ახალი ციხეების მშენებლობისთვის დაფინანსებას მიიღებდა:

„სამი ახალგაზრდა დახვრიტეს დიღომში ან დიდუბეში, თითქოს ისინი მიდიოდნენ რუსთავის კოლონიაში და რაღაცის მოწყობა უნდოდათ. ჩემთან მოვიდნენ თვითმხილველები და მითხრეს — ჩვენს თვალწინ ეს სამი ბიჭი დაიჩოქა და ითხოვდა, ნუ დაგვხვრეტთ, დაგვაპატიმრეთო, მაგრამ დახვრიტეს. ამასთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილს ველაპარაკე. ძალიან გაღიზიანებულმა მითხრა, სანამ მე ასეთ 200-მდე ბანდიტს მიწაში არ ჩავდებ, არ მოვისვენებო და დასძინა — შენც მიგაყოლებო. ბოკერიამ კი ამიხსნა — ჩვენ უნდა გავზარდოთ პატიმრების რიცხვი 24 ათასამდე, ამის გამო, საქართველო მიიღებს თანხებს, რათა ააშენოს ახალი ციხეები“.

*„ინტერპრესნიუსი“*




## ავტოავარიას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა

ქუთაისში, ავტომშენებლის გამზირზე, ავტოსაგზაო შემთხვევა 27 ივნისის, დილას მოხდა. საპირისპირო მიმართულებით მოძრავი „ფოლკსვაგენი“ და სატვირთო ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.

„ფოლკსვაგენში“ ექვსი ადამიანი იმყოფებოდა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ოთხი მგზავრი, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი, ადგილზე გარდაიცვალა. დაშავებული მძღოლი და ერთი მგზავრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები, ასევე კრიმინალური პოლიცია და კრიმინალისტები. გამოძიებამ დაადგინა, რომ სატვირთო ავტომობილი ქუთაისის, ხოლო მსუბუქი ავტომობილი საპირისპიროდ, ხონის მიმართულებით მოძრაობდა. წინასწარი ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის სავარაუდო მიზეზად გადაჭარბებული სიჩქარე სახელდება. მიმდინარეობს სატრანსპორტო და ტრასოლოგიური ექსპერტიზა.

გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლოატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსსკ-ს 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს ექსთავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე ბრალდებებს პასუხობს



## საყვარელიძეს სააკაშვილი-ნოღაიდელი-ბეჟუაშვილი, ბადრი წილოსანს კი კეზერაშვილი-ეზუგბაია მფარველობდნენ?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**მას შემდეგ, რაც ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის ხელმძღვანელის, ბადრი წილოსანის პარტნიორების ბრიფინგი „ვერსიაში“ გაშუქდა, რედაქციაში თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ავთანდილ საყვარელიძე დაგვიკავშირდა და პოზიციის დაფიქსირება გვთხოვა. მანამდე კი, ბრიფინგი ავთანდილ საყვარელიძემაც გამართა და ქარხანაში არსებულ ვითარებაზე, მედიას წილოსანისგან კარდინალურად განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდა. პარალელურად, ბადრი წილოსანის პარტნიორებმა „ვერსიას“ იმ დოკუმენტების ნუსხა გადასცეს, რომლითაც დასტურდება, რომ პატიმრობაში მყოფ წილოსანს, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის აქციების 51%-იანი წილი ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ დაათმობინეს. მოგვიანებით, სახელმწიფომ, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, ეს აქციები პირდაპირი მიყიდვის წესით, ავთანდილ საყვარელიძის კუთვნილ კომპანია „თი ჯი თრეიდს“ გადასცა.**

### ოფიციალური დოკუმენტების ნუსხა

ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი ელექტროვაგონშემკეთებელ და ვაგონმშენებელ ქარხნებს აერთიანებს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ჰოლდინგის ყოფილმა პარტნიორმა, ავთანდილ საყვარელიძემ, ნაციონალური მოძრაობის გავლენიანი მაღალჩინოსნების, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის, ეკონომიკის მინისტრის მოადგილის კახა დამენიასა და პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის მფარველობის შედეგად, მოახერხა და ყალბი ბრალდებების საფუძველზე, ქარხნის მფლობელი, ბადრი წილოსანი დააპატიმრებინა. უკვე დაპატიმრებულს კი, იძულების წესით, აქციების საკონტროლო პაკეტი ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ, ჩუქების წესით, დაათმობინა. ცოტა ხანში, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული აქციების 51%, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით, ავთანდილ საყვარელიძის კომპანია „თი ჯი თრეიდს“ გადასცეს.

ბადრი წილოსანის პარტნიორები აცხადებენ, რომ გავლენიანი მფარველების გარეშე, ავთანდილ საყვარელიძე ამას ვერ მოახერხებდა. მას შემდეგ, რაც ქარხანა ხელში ჩაიგდო, სამი წლის განმავლობაში, შეუსრულებელი ვალდებულებებისა და ყალბი ანგარიშფაქტურების შედეგად, ავთანდილ საყვარელიძემ 73 000 000 ლარის დავალიანება დააგროვა და საწარმო გააკოტრა. ამ დავალიანებაში შედის 37 000 000 ლარის გაუსტუმრებელი კრედიტები, რაც საყვარელიძემ სხვადასხვა ბანკებისგან აიღო, ასევე 28 000 000-ლარიანი დავალიანება, რომელიც „თი ჯი თრეიდს“ ქარხნის მიმართ დაუგროვდა. გაყიდვას რომ გადაერჩინა, ბადრი წილოსანმა მოახერხა და აქციების საკონტროლო პაკეტი დაიბრუნა, ხოლო ავთანდილ საყვარელიძე ავსტრიაში, იძულებით ემიგრაციაში გაემგზავრა.

ბადრი წილოსანის პარტნიორებმა „ვერსიას“ დოკუმენტების ნუსხა გადასცეს, სადაც შედის ბადრი წილოსანის მიერ ციხეში გაჩუქებული წილის დამადასტურებელი დოკუმენტი, ავთანდილ საყვარელიძის ფირმის „თი ჯი თრეიდის“ მიერ, სახელმწიფოსგან პირდაპირი მიყიდვის წესით, ქარხნის აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე სასამართლოს განჩინება ბანკების მიერ გაკოტრების საქმის დაწყებასთან დაკავშირებით, ავთანდილ საყვარელიძის კომპანია „თი ჯი თრეიდის“ მიერ, ქარხნის მიმართ 28 000 000 ლარის დავალიანების აღიარება, სასამართლოს განაჩენი ქარხნის მიმართ, საყვარელიძის ფირმის 28 000 000-ლარიანი დავალიანების აღიარების შესახებ და ბადრი წილოსანის მიერ, 2008 წელს, ხელახლა ნაყიდი აქციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

### ავთანდილ საყვარელიძის ვერსიით

**„ვერსიასთან“ ინტერვიუში ავთანდილ საყვარელიძემ, ბადრი წილოსანის პარტნიორების ბრალდებებს უპასუხა:**




— 2001 წელს, დიდი დაკვეთა მოვიპოვეთ, რაც სარკინიგზო ვაგონების რემონტს გულისხმობდა. ვიცოდით, რომ ამ დაკვეთას თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა შეასრულებდა და ამიტომ ადგილზე ვნახეთ ქარხანა, რომელიც საშინელ მდგომარეობაში იყო. მისი მფლობელი, ვინმე ბადრი წილოსანი იყო, რომელიც ცნობილია, როგორც ინტრიგანი და მძარცველი, მაგრამ ბიზნესს თავისი ინტერესი აქვს და მასთან მოსალაპარაკებლად მივედით. ჩვენი დაკვეთის შედეგად, ქარხანა გამოცოცხლდა და ფუნქციონირება დაიწყო. დაახლოებით, 3-4 წლის განმავლობაში, უამრავი დაკვეთა მივიტანეთ, ქარხანა ნელ-ნელა განვითარდა და ფეხზე დადგა. ამასობაში, „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და სულ მალე, „საქართველოს რკინიგზის“ მაშინდელი უფროსი, აკაკი ჩხაიძე დააპატიმრეს, როგორც ვიცი, თითქოს ორი კვირით, ბადრი წილოსანიც დაიჭირეს, მაგრამ მალე გამოუშვეს. არ ვიცით როგორ, მაგრამ, როგორც ჩანს, ბადრი წილოსანს თავისი კუთვნილი წილი — აქციების 51% ჩამოართვეს. 2005 წელს, ეკონომიკის სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა, სადაც აქციების 51% უნდა გაყიდულიყო. გავიგეთ, რომ ამ კონკურსში, სამ უმსხვილეს, უცხოურ კომპანიას უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ დაკვეთა, რომელსაც ქარხანაში ვასრულებდით, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამიტომ ბადრი წილოსანთან შეხვედრა გადავწყვიტეთ, რომელსაც ბიზნესსაზოგადოების ცნობილი წარმომადგენლებიც დაესწრნენ. შეხვედრაზე განვაცხადე, თუ ბადრი წილოსანი თანახმა იქნება, კონკურსში მონაწილეობას მივიღებ და ქარხნის აქციებს ვიყიდი-თქო. შევიტანეთ განაცხადი კონკურსში, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა. აქციების საწყისი ფასი 2 500 000 აშშ დოლარი იყო, ჩვენ 6 000 000 აშშ დოლარი შევთავაზეთ და სამსაფეხურიანი ტენდერი მოვიგეთ. როგორც კი გავიმარჯვეთ, პირველ ტურში დამარცხებულმა ერთ-ერთმა უცხოურმა კომპანიამ სახელმწიფოს წერილი გამოუგზავნა და შესთავაზა, რომ 8 500 000 აშშ დოლარს გადაიხდიდა. სახელმწიფომ ტენდერის ჩაშლაზე სიტყვიერი გადაწყვეტილება მიიღო. რა თქმა უნდა, ეკონომიკის სამინისტროს მივმართეთ და განვუმარტეთ, რომ სარჩელს მოვამზადებდით, სარჩელის შიშით, სახელმწიფომ ვითარება გამოასწორა და პრეზიდენტის ბრძანებულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, აქციების 51% გადმოგვცა.




ბადრი წილოსანის მიერ აქციების დათმობის მომენტიდან და ჩვენს მიერ, აქციების აუქციონის წესით შესყიდვამდე, სხვაობა ზუსტად ორი წელია.

**— ბატონო ავთო, ბადრი წილოსანის მხარე ბრალს გდებთ, რომ სწორედ თქვენ დააპატიმრებინეთ წილოსანი, რომელმაც ციხეში, იძულების წესით, საჩუქრად გადასცა აქციები ეკონომიკის სამინისტროს, ასე იყო?**

— არა, ხომ გითხარით, რომ შუაში ორწლიანი შუალედი იყო. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ დააპატიმრეს აკაკი ჩხაიძე, ან რას ედავებოდნენ ბადრი წილოსანს. ასე აღმოვჩნდით ჩვენ 51%-ის, წილოსანი კი 47%-ის მფლობელი, ამის შემდეგ ნორმალური პროცესი დავიწყეთ ქარხანაში. სამეთვალყურეო საბჭოში ვიყავით ჩვენც და წილოსანიც, აღმასრულებელი მენეჯმენტშიც ორივე მხარე იყო წარმოდგენილი.

**— ეს გასაგებია, მაგრამ ძველი მენეჯმენტი რატომ გაუშვით?**

— ძველი მენეჯმენტის ნაწილი გავუშვით, რადგან ძალიან რთული იყო ჩემი ტექნიკური პერსონალის თანამშრომლობა იმ კატეგორიასთან, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ. თუმცა წილოსანის შვილები, სიძე, მეჯვარე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ყველა, ვინც წილოსანის სანათესაოდან მუშაობდა ქარხანაში, საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დავტოვე. ამის შემდეგ ერთობლივი მუშაობა დავიწყეთ. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და მათ ტექნიკურ აზროვნებას შორის, რადგან ისინი ჩამყაყებული, საბჭოთა აზროვნებით გამოირჩეოდნენ. მათ მხოლოდ სარკინიგზო ტრანსპორტის ფორმალური შეკეთება იცოდნენ, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა იყო მშენებლობა. ჩვენ კი მშენებლობის მიმართულებაზე გადავედით, ყველა საჭირო ლიცენზია ავიღეთ, ქარხანა ტექნოლოგიურად აღვჭურვეთ და პოსტსაბჭოთა სივრცეში, პირველი ელექტრომატარებელი შევქმენით, რომლის პრეცედენტი დღემდე არ არსებობს, არადა 5 წელია, ქარხანაში აღარ ვართ.

**— როდის დაიძაბა ურთიერთობა თქვენს შორის?**

— საკმაოდ მძიმე ტვირთი დაგვხვდა ბადრი წილოსანის მიერ, რაც თანხის არამიზნობრივ ხარჯვაში გამოიხატებოდა. ეს იყო „საქართველოს რკინიგზიდან" მიღებული ჯარიმები, რადგან ვალდებულებებს არ ასრულებდნენ. ჯამში, 15 000 000 ლარი არამიზნობრივად იყო ათვისებული, მაგრამ ეს თანხა ჩვენ გადავიხადეთ. გარდა ამისა, ქარხანა ტექნიკურად მძიმე მდგომარეობაში იყო, რადგან არც ერთი კორპუსი გადახურული არ ყოფილა და 2007 წელს, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრებისთვის გასანაწილებელი დივიდენდი, ქარხნის გადახურვაზე მივმართეთ, რასაც წილოსანის ისტერიკა მოჰყვა. აქედან დაიწყო სერიოზული უთანხმოება ჩვენს შორის. უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ წილოსანს უზარმაზარ სამრეწველო კორპუსში ლუდის საწყობი ჰქონდა მოწყობილი, რომელიც გავათავისუფლეთ და სუპერთანამედროვე, ტექნოლოგიურ საამქროდ გადავაკეთეთ. ქარხანაში უამრავი, მოძველებული დაზგა-დანადგარი იყო, რომლებიც აღვადგინეთ. ესეც არ მოეწონა წილოსანს, რადგან მათი ჯართად ჩაბარება უნდოდა.

**— მეორე მხარე ამბობს, რომ ამ პერიოდში, მომგებიან საწარმოს 73 000 000 ლარის დავალიანება დაუგროვეთ და ქარხანა გაკოტრების პირამდე მიიყვანეთ. რაც მთავარია, 28 000 000 ლარი, თქვენს კუთვნილ კომპანია „თი ჯი თრეიდში" გადარიცხეთ...**

— მათ ნაძირლებს ვუწოდებ ამის გამო. მარტივ მაგალითს გეტყვით. ახლა რომ ბანკში მიხვიდეთ და 20 000 000 ლარის სესხი მოითხოვოთ, მიიღებთ ამ სესხს? არა, ხომ? როგორ გგონიათ, კომერციული ბანკები 37 000 000 ლარის კრედიტს მომცემდნენ, ჩემს მიმართ ნდობა რომ არ ჰქონოდათ? საკმაოდ გვიან აღმოვაჩინე, რომ თურმე, ბადრი წილოსანი და დავით კეზერაშვილი მეგობრობდნენ. კეზერაშვილისა და „საქართველოს რკინიგზის" მაშინდელი ხელმძღვანელის, ირაკლი ეზუგბაიას საშუალებით, ჩემი ბლოკირება დაიწყეს. აღარ გვიხდიდნენ თანხას, არც ავანსს და არც შესრულებული სამუშაოს საფასურს, რათა ჩვენი მდგომარეობა დამძიმებული ყო. იმის გამო, რომ რკინიგზიდან საფასურს ვერ ვიღებდით, იძულებულები გავხდით, საბანკო კრედიტებზე გადავსულიყავით. კვანძი კი 2008 წლის 17 სექტემბერს გაიხსნა, როდესაც წილოსანმა ჩვენგან გადაიფორმა აქციები. დაახლოებით, ერთი კვირის ვადაში, „საქართველოს რკინიგზამ" სრულად გაისტუმრა დავალიანება და დაფარა კრედიტები, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც ქარხანა წაგვართვეს. რაც შეეხება 28 000 000 ლარის დავალიანებას, „თი ჯი თრეიდი" ქარხნის აქციონერი და დამფუძნებელია, ქარხნის განვითარებაში 30 000 000 აშშ დოლარი ჩავდეთ, რაც სხვადასხვა საინვესტიციო წყაროებიდან მოვიზიდეთ, ცხადია, ინვესტიციებს გასტუმრება უნდოდა. ეს არის ბოლო ცენტამდე დათვლილი, კანონიერად სწორად შესრულებული, ინვესტიციების მიბრუნების ოპერაცია, ამიტომ „თი ჯი თრეიდს" არანაირი ვალი არ აქვს. ახლა მოგიყვებით, როგორ წაიართვა ბადრი წილოსანმა ქარხანა დავით კეზერაშვილის დახმარებით. მას შემდეგ, რაც წილოსანი კეზერაშვილს დაუახლოვდა, ქარხნის თანამშრომლებზე გარკვეული ზეწოლა დაიწყო. ბოლოს, ყველაფერი იქამდე მივიდა, რომ 2008 წლის 8 სექტემბერს, შეიარაღებული ბანდიტები მომადგნენ და ფინანსურ პოლიციაში, მაშინდელი უფროსის, დავით ქარსელაძის კაბინეტში დამიბარეს. იქ ბადრი წილოსანი დამხვდა, რომელიც ამ პროცესს ხელმძღვანელობდა, გამომიცხადეს, რომ „კეზერას" ბრძანებით (სიტყვა-სიტყვით ასე მითხრეს), ქარხანა წილოსანისთვის უნდა დამეთმო. იმ დღიდან, შეიარაღებული და ნიღბიანი ბანდიტების ერთკვირიანი ტერორი დაიწყო ჩვენს წინააღმდეგ, ამ პროცესის უშუალო მმართველი კი ბადრი წილოსანი იყო. ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ 2008 წლის 17 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, ნაძირალა ნოტარიუსის, ზოიძის სანოტარო ბიუროში, შეიარაღებული ბანდიტების თანდასწრებით, აქციები ბადრი წილოსანს გადავუფორმე. ამის შემდეგ, ჩემს წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შემიფარდეს. მოტივი ის იყო, რომ ბანკებში იაფიან კრედიტებს ვიღებდი. პატიმრობის შეფარდებამდე ერთი დღით ადრე, პარიზში წავედი, სადაც საქმიანი შეხვედრა მქონდა და საზღვარგარეთ დავრჩი. რაც შეეხება წილოსანს, მის წინააღმდეგ, რამდენიმე ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და ერთ-ერთი, რკინიგზას უკავშირდება. ძალიან მაღიზიანებს ეს გიორგი არეშიძე (ვაგონმშენებელი ქარხნის გენერალური დირექტორი — ავტ.), წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის, მაგრამ აცხადებს, თითქოს კოკა გუნცაძემ, ჩემთან შეთანხმებით განცხადება გააკეთა. როდესაც წილოსანის წინააღმდეგ საქმეები აღიძრა, ჯერ კიდევ იძულებით ემიგრაციაში ვიმყოფებოდი ავსტრიაში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კოკა გუნცაძეს არ ვიცნობ და მასთან არანაირი კონტაქტი არ მქონია. ვერ გავიგე, ეს აბსურდი რას ნიშნავს...

**— 2013 წლის იანვარში, კოკა გუნცაძემ გამართა ბრიფინგი, რომელზეც 2012 წლის ტენდერის შედეგებზე ისაუბრა. გუნცაძემ შეისწავლა სატენდერო დოკუმენტები და აღმოაჩინა, რომ ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ ტენდერის პირობები დაარღვია. მაინტერესებს, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ხომ არ იჩივლეთ და კოკა გუნცაძის ეს ბრიფინგი თქვენი განცხადების გაგრძელება ხომ არ იყო?**

— არ ვიცი, რომელ ტენდერზეა საუბარი, მაგრამ ბადრი წილოსანის თვისებებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, არაკეთილსინდისიერად იმუშავებდა, თუმცა ეს არ არის მთავარი. როგორც გითხარით, წილოსანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. მათ შეიტყვეს, რომ 2013 წლის 16 მაისს, პროკურატურაში შევიტანე სარჩელი, რომლითაც ფინანსური მაქინაციების გამოძიებას კი არა, ბანდიტებისა და მოძალადე მკვლელების დასჯას ვითხოვ. ესენი არიან, კონკრეტულად, ბადრი წილოსანი, ფინანსური პოლიციის მაშინდელი უფროსი დავით ქარსელაძე, დავით კეზერაშვილი, ირაკლი ეზუგბაია და შეიარაღებული ბანდა. როდესაც სარჩელს გაეცნენ და მიხვდნენ, რომ გაცილებით მძიმე ბრალდებებია, სწორედ ამის პასუხი იყო ორგანიზებული შეტევა მასმედიის საშუალებით. მათი საქმიანობა სიცრუე, ტყუილი და უზარმაზარი დანაშაულია ქვეყნის წინაშე, ტექნოლოგიური პროცესების ზღვარსგადასულ უგულებელყოფას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ რკინიგზაზე ავარიები გახშირდა. 2005-2008 წლებში, როდესაც ქარხნის სათავეში ვიყავი, ავარია საერთოდ არ დაფიქსირებულა. 2008 წლის შემდეგ კი რკინიგზაზე ავარიები გახშირდა, რაც უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია, რომლითაც წილოსანი-კეზერაშვილი-ეზუგბაია გამოირჩეოდნენ. წილოსანი და კეზერაშვილი დღესაც პარტნიორები არიან, ამ ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია ნიკა გვარამია, ასევე მურთაზ ზოდელავას მეუღლე. კეზერაშვილის „პიქსელის" ოფისი მთლიანად ამ ქარხნის მენეჯმენტში მუშაობდა.

**— გასაგებია, მაგრამ თქვენ რა ურთიერთობა გქონდათ ზურაბ ნოღაიდელთან, კახა დამენიასთან და დავით ბეჟუაშვილთან?**

— ზურაბ ნოღაიდელი იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, კახა დამენია — ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, ხოლო დავით ბეჟუაშვილის სიმამრი იყო ჩვენი ინვესტორი. პრემიერ-მინისტრის ვალდებულებაა, ქართულ მრეწველობას ხელი შეუწყოს, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ვალდებულია, რომ ჩვენგან მონიტორინგი ჩაიბაროს და ინვესტორის წინაშე ვალდებულები ვიყავით, მოზიდული სახსრები დაგვებრუნებინა. რაც შეეხება სხვა გვარებს, როდესაც დავით კეზერაშვილმა გაბედა ასეთი ქმედება ჩვენს წინააღმდეგ, ერთ-ერთი მოქმედი პირი იყო მარიკა ვერულაშვილი, რომელიც ბადრი წილოსანის დისშვილის, სოსო ჩხაიძის მეუღლეა. ნინო კალანდაძეს ქარხანამ ბინა აჩუქა.

**P.S. „ვერსიამ" ორი, დაპირისპირებული მხარის პოზიცია გააშუქა, მტყუან-მართალს კი გამოძიება და სასამართლო დაადგენს. ცნობილია, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და გამოძიება მიმდინარეობს, ამ პროცესს თვალს მივადევნებთ და უახლეს ინფორმაციას გაცნობებთ.**



## „შეწყდეს წამება!" — აქცია წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერად

„არ აწამო, შეწყვიტე წამება!" — ამ ლოზუნგით გაიმართა მშვიდობიანი აქცია 26 ივნისს, წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღეს, თბილისში, მშვიდობის ხიდზე. აქციის მონაწილეებმა ფურცლებზე საკუთარი სურვილები დაწერეს, ჩააწყვეს ქაღალდის პატარა ნავში, რომელსაც ეწერა „შეწყდეს წამება" და წყალს გაატანეს ის უარყოფითი ემოციები, რაც წამების ფაქტების ნახვისას განიცადეს. ამ აქციით მათ სურდათ ხელისუფლებისათვის შეეხსენებინათ, რომ საზოგადოებას ყველაფერი ახსოვს და ფხიზლადაა, მთავრობას კი მოუწოდებენ, რომ მომავალში მსგავსი პრეცედენტი აღარ დაუშვას.

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT), ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRIDC), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის", კავშირსი „საფარი", ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრ „კავკასიისა" და მედიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილ აქციას ყოფილი პოლიტპატიმარი, პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაიაც შეუერთდა და კიდევ ერთხელ გაიხსენა წამების ის მეთოდები, რომლის მომსწრეც საქართველოს ციხეში თავად გახდა. აქციას ასევე შეუერთდა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნია, რომელმაც განაცხადა: **„შსს-ში ვნახე შემზარავი კადრები, რომელიც ადასტურებს, რომ სამწუხაროდ, XXI საუკუნის საქართველოში ცალკეული ჯგუფების მხრიდან გარკვეული მიზნების უზრუნველსაყოფად ადამიანის წამება ჩვეულებრივი ამბავი იყო. ეს ტრაგედიაა და იმისთვის რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს, ასეთი ტიპის აქციებს, როგორც წამების წინააღმდეგ საზოგადოების მკაცრ პასუხს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს".**

26 ივნისს საგანგებო განცხადება გაავრცელა საქართველოს სახალხო დამცველმაც. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის პრობლემების აღმოსაფხვრელად საქართველოს მთავრობას წლების განმავლობაში არ მიუღია სათანადო და ადეკვატური ზომები. მეტიც, ტენდენციად იქცა გამოვლენილი სისტემური დარღვევების სრული იგნორირება. უჩა ნანუაშვილი აცხადებს, რომ ეს დაადასტურა „ციხის კადრებმაც", სადაც ასახული იყო პატიმართა წამების, დამცირებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

ხელისუფლებას რეკომენდაციებით მიმართეს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრმა „ემპათია" და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ. საგანგებო განცხადებით, მათ მოითხოვეს, სტამბოლის პროტოკოლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, სს კოდექსში შევიდეს სპეციალური მუხლი კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის სავალდებულო დანიშვნის შესახებ; განისაზღვროს წამების მსხვერპლის (დაზარალებული) უფლება ჰქონდეს ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებთან, ჰქონდეს პროკურორისა და სასამართლოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება; შეიქმნას წამების მსხვერპლთა კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ფონდი და მოხდეს მათი, როგორც წამების მსხვერპლთა, აღიარება; ასევე, შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელიც წამების ფაქტების გამოძიების ეფექტურობაზე მონიტორინგს განახორციელებს.

*„ვერსიანიუსი"*



## ავღანეთში, ქართველ სამხედროებს გენერალი სერ რიჩარდ შირეფი ეწვია

ავღანეთში მებრძოლი ქართველი სამხედროების შესახებ ნატო-ს „ფეისბუქის“ ოფიციალური ვებგვერდი რუთ ოუენის სიუჟეტს ავრცელებს. სიუჟეტის ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი სამხედროები ავღანეთის სამხრეთით ყველაზე საშიშ რეგიონში მცხოვრებლებს უწევენ დახმარებას: **„ჯერ კიდევ ორი წლის წინ, მუსა კალას რეგიონი ყველაზე სახიფათო იყო, თუმცა ახლა ქართველი სამხედროების აქ ყოფნის შემდეგ, მათ მიერ გატარებული ოპერაციების შემდეგ აქაურები ISAF-ის მისიას მიესალმებიან“.**

რუთ ოუენი ასევე აღნიშნავს, რომ ქართველი სამხედროები ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებს უწევენ დახმარებას და მათთან ერთად ასუფთავებენ რეგიონს თვითნაკეთი ხელყუმბარებისგან.

**„რეგიონში „თალიბები“ დიდ საფრთხეს ქმნიან, თუმცა, ამ ეტაპზე ვითარება უსაფრთხოების თვალსაზრისით, გასულ წლებთან შედარებით, უკეთესია“,** — აცხადებს სიუჟეტის ავტორთან საუბრისას მე-12 ბატალიონის გენერალური შტაბის უფროსი, კაპიტანი ჯემალ წითაძე.

ნატო-ს მიერ გავრცელებულ სიუჟეტში ავღანეთში მოღვაწე ქართველი სამხედროების შესახებ ასევე ნაჩვენებია, როგორ უწევს დახმარებას ქართველთა ბაზა „ერთობაზე“ ქართველი სამხედრო დაჭრილ ავღანელ პოლიციელს.

სიუჟეტის ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველმა სამხედროებმა ჰელმანდის ამ ყველაზე არასტაბილურ რეგიონში ადგილობრივებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცეს. **„თუმცა, ქართველებმაც და მათმა ავღანელმა პარტნიორებმაც, რომელთაც არაერთი მსხვერპლი გაიღეს, იციან, რომ წარმატების მიღწევა საკმაოდ რთულია“,** — აღნიშნავს რუთ ოუენი.

იმ დღეს, როცა ნატოს „ფეისბუქის“ გვერდზე ავღანეთში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების შესახებ სიუჟეტი აიტვირთა, ავღანეთში, ქართველ სამხედროებს ევროპაში მოკავშირე ძალების სარდლის მოადგილე (SHAPE) გენერალი სერ რიჩარდ შირეფი ეწვია. მან ჰელმანდის პროვინციაში დისლოცირებული ქართული ბატალიონები მოინახულა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბაზა „ლეზერნიკზე“ სტუმრობისას III ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ხელმძღვანელობამ მოკავშირე ძალების სარდლის მოადგილეს ბაზის ტერიტორია დაათვალიერებინა და სამეთაურო ბრიფინგი ჩაუტარა.

გენერალი შირეფი ბაზა „შირგაზზე“ IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონსაც ესტუმრა. დანაყოფის პირადი შემადგენლობის გაცნობის შემდეგ, ბატალიონის მეთაურმა მაიორმა ირაკლი კალანდაძემ ბრიტანელ გენერალს ქართველების ოპერაციის რაიონში არსებული სიტუაცია აუხსნა და ბოლო აფეთქებების შემდეგ უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით ჩატარებული სამუშაოები გააცნო. გენერალმა შირეფმა პირადად დაათვალიერა ბაზის ის ტერიტორია, რომელზეც ამბოხებულებმა შეტევა განახორციელეს და განაცხადა: **„საქართველოს წვლილი ავღანეთის მისიაში უმნიშვნელოვანესია. საქართველო ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით, ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორ ქვეყანას წარმოადგენს. ქართველები ნამდვილად პროფესიონალი მებრძოლები არიან. ჩვენ ვაფასებთ ქართველების გმირობას, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ ავღანეთის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში“.**

*„ვერსიანიუსი“*



# მედიის შუქნიშანი

**შუქნიშნის დანიშნულება ყველამ იცის, წითელზე — ტრანსპორტი ჩერდება, მწვანეზე — თავისუფლად მოძრაობს, ყვითელი გაფრთხილებს, რისთვის უნდა მოემზადო — გაჩერებისთვის თუ სამოძრაოდ. ხომ მარტივია, მაგრამ რაოდენ საჭირო. სატრანსპორტო შუქნიშანი რომ არა, ვინ იცის, რამდენი უბედურება დატრიალდებოდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობა ავტომობილზე „ამხედრდა“. ცივილიზებულმა მსოფლიომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში სატრანსპორტო შუქნიშნის ფუნქცია მედიას მიანიჭა. წესიერ ქვეყანაში მედიის გამოსვლა-გამოლაშქრება ხან წითელი შუქის ფუნქციას ასრულებს, ხან ყვითელისას და, ცხადია, ძალიან ხშირად — მწვანე გზას აძლევს საზოგადოებრივ-სასარგებლო წამოწყებებს, მიღწევებსა თუ სასიკეთო ინდივიდუალურ გამოვლინებებს. ვიმეორებ, ეს წესიერ ქვეყნებში ხდება, სადაც სამოქალაქო თვითშეგნების კოეფიციენტი ძალიან მაღალია. საქართველოში, სულ ცოტა, ბოლო ორი ათეული წელია მედია გულისფხანის საშუალებად იქცა, ხოლო ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა დიდი და პატარა მთლად ვირტუალურ „მფხანავებად“ აქცია. დიდ ილიას თუ დავესესხებით, გულის ფხანამ ქეცი იცის. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქართული საზოგადოების წონადი ნაწილი სწორედაც რომ დაქეციანებულივით იქცევა, მედიის არენიდან ღავ-ღავის მეტი არაფერი ისმის. თითქმის ყველამ მიივიწყა მედიის უმთავრესი ფუნქცია — ორგანიზატორული. დიახ, ორგანიზატორული. სწორედ ის ფუნქცია, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში „რუსთავი-2“-მა მოირგო, 1990-იანის დასაწყისში კი გაზეთმა „დრონმა“ და სხვა გამოცემებმა. იმედია, გამგები ყველაფერს მიხვდება.**

**დღევანდელ ქართული მედიას, რეალურს და არა ვიღაცათა ნავებსა და კანოებში მოჭყუმპალავე ჟურნალისტ-პუბლიცისტთა კორპუსს, მართლაც შეუძლია დიდი საზოგადოებრივი ცვლილებების მეთავეობა. სწორედ ეს გახლავთ ჩემი საავტორო რუბრიკის მიზანი. გადაჭრით ავუნთოთ წითელი შუქი იმას და იმათ, ვინც ამას იმსახურებს. ჯერ ავუნთოთ და მერე პროკურატურის ან სასამართლოს კარამდეც მივაცილოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ იგრძნონ პოლიტიკურმა პარტიებმა თუ რიგითმა პოლიტიკანებმა, საზოგადო თუ სახელმწიფო გვამებმა, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელმა სუბიექტმა საზოგადოებრივი ასპარეზი წესიერ ხალხს თუ ჯგუფს უნდა გაუთავისუფლონ. ვერ გეტყვით, რამდენად შევძლებთ ამის გაკეთებას, რამდენად აგვყვება ამაში ხალხი, რომელსაც ოცი წელია სახელმწიფო ხაზინის ვირთხებისგან თუ ძალად ოლიგარქებისგან ნაყიდ-ნაზულუქები ზოგიერთი მედიასაშუალება კიდევ დიდხანს უპირებს მოჯადოებულ წრეზე ტრიალს. ამიტომ რაღაცაა საჭირო, რომ დამთავრდეს ჩვენი ციბრუტში გამომწყვდეული ციყვის როლში ყოფნა. ჩვენს რუბრიკაში — მედიის შუქნიშანი, ბევრ ვინმეს და ბევრ რამეს აენთება წითელ-ყვითელი მწვანე შუქი. შესაბამისად, ბევრი ორგანიზაცია თუ პერსონა იგრძნობს მის სუსხსაც და გამოქომაგებასაც. რუბრიკას, ცხადია, ვერ ექნება მყარი პერიოდულობა, მაგრამ როცა იქნება, ყველაფერი დაწერილ-დაწმენდილი სახით მიეწოდება საზოგადოებას. რა თქმა უნდა, თავად საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის იმედითა და მოლოდინით. ვატყობ, გამიგრძელდა საუბარი რუბრიკის არსზე, მაგრამ სანამ საქმეში ჩაგრთავდეთ, მინდა, გულწრფელი მადლობა მოვახსენო „ვერსიის“ დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს, ქალბატონ მაია ფურცელაძეს, საპრემიერო რუბრიკის ჯერ პათოსის გაზიარებისა და მერე ქმედითი მხარდაჭერისთვის. ახლა კი საქმეზე... „ვერსიის“ მედიაშუქნიშანი თავის პირველ ყვითელ, მაგრამ გაწითლებისკენ მიმართულ ბარათს საყოველთაოდ უჩვენებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და რექტორობაზე მეოცნებე მერაბ ბერიძეს.**

# სახელმწიფო ძვალი სვავი რექტორისთვის!!!



გიგლა გოგბეჩია

### მცირე წინათქმა სათაურის დეტალიზაციისთვის

სვავის მტაცებლური ბუნება ცნობილია, მაგრამ მას აქვს ერთი უცნაურად გონივრული თვისება — თურმე ძვალს გადაყლაპვამდე კისერს ატოლებს, სვავსაც კი აინტერესებს, გაეტევა თუ არა ნანადირევის ძვალი ყანყრატოში.

ვერაფერს იტყვი, გენიალური თვისებაა.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ყოველი მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტი ერთგვარი სახელმწიფო ძვალია, რომელიც ყველა ჩინოვნიკმა, სანამ ამა თუ იმ სკამზე ჩასკუპდება, საკუთარ ყელს უნდა მოაზომოს. ჩვენი საზოგადოების უბედურებაც მაშინ იწყება, როცა ისეთ სახელმწიფო გვამს, რომლის ყელ-კისერი მნიშვნელოვანი ძვლის გადაყლაპვისთვის მოუმზადებელია, ანდობს ამა თუ იმ საპასუხისმგებლო უბანს.

კაცმა რომ თქვას, სვავი არც უნდა მიუშვა საქმესთან, თორემ მერე მისი მადის დაოკება უკვე სახელმწიფოსა და საზოგადოების პრობლემა ხდება, თუ როგორ, ამას ქვემოთ ვნახავთ.

### „სტოპ“, ბატონო მერაბ, წითელი შუქი აინთო უკვე...

სწორედ ასე ანდო სახელმწიფომ 1990-იანი წლების დასაწყისში ფრიად მნიშვნელოვანი უბანი თსუ-ს ლაბორანტს მერაბ ბერიძეს და იგი ახალციხეში გაამწესეს. მისი პირველი რექტორობა მთელი 15 წელი გაგრძელდა. 2005 წელს მერაბ ბერიძე მძიმე ბრალდებით დააკავეს და გარკვეული ხნით ცხრაკლიტულში ყურყუტის შემდეგ გაათავისუფლეს, ოღონდ საპროცესო გარიგებით გვარიანი თანხის გადახდის შემდეგ. მაშინ მის დასაცავად თავი რესპუბლიკურმა პარტიამ გამოიდო თინა ხიდაშელის თამადობით, თუმცა „რესპები“, ალბათ, ვერაფერს გახდებოდნენ, რომ არა დიდი ივანე მერაბიშვილის გულმოწყალება.

ფაქტია, მაშინ გამოძიებამ ვითარება არ გაართულა, თუმცა მერაბ ბერიძის საქმეში უამრავი საყურადღებო ეპიზოდი მოხვდა.

ძნელი სათქმელია, რა მოხდა კულისებში. ვინ იმოქმედა მერაბიშვილზე, მაგრამ მე ახალციხეში ყოფნისას არაერთგან მომისმენია, რომ მერაბ ბერიძე ფეხზე ამდგარი სვამდა თამარ მეფისა და ვანო მერაბიშვილის გამზრდელი დედების სადღეგრძელოს, ეს მისი „ფირმენნი ტორტი“ იყო.

ეს ისე, ჟურნალისტური დეტალი პროფესორ ბერიძის პიროვნული პორტრეტისთვის.

რაც შეეხება მის სამეცნიერო ხედვას. აქაც ერთ დეტალს შემოგთავაზებთ.

ბერიძის რექტორობის დროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პრაქტიკულად ცარიელი იყო. სად ეცალა პროფესორ ბერიძეს წიგნადი ფონდის შესავსებად. სამაგიეროდ, ფრიად დიდი ჯაფა გასწია, როცა ახალციხის უნივერსიტეტის ანსამბლი ერაყსა და იტალიაში 2-3-ჯერ გაგზავნა. ამ გასტროლებმა უნივერსიტეტის მწირი ფონდიდან რამდენიმე ათეული ათასი ლარი შეიწირა, მაგრამ არავის უკითხავს მისთვის ამის აუცილებლობაზე არაფერი. ისე დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ და სხვა დარღვევებზეა საუბარი კონტროლის პალატის დასკვნაზე, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს მომზადდა, მაგრამ მერაბ ბერიძე მაშინაც ვიღაცის რკინის ხელმა გადაარჩინა პასუხისგებას. მე უკვე ველაპარაკე იმ დასკვნის ავტორს და საჭიროების შემთხვევაში მისი პუბლიკაციაც არ იქნება პრობლემა.

ჩემმა მრავალათეულწლიანმა პრაქტიკამ დამარწმუნა, მერაბ ბერიძისნაირ თავხედ ჩინოვნიკს პირდაპირ უნდა დაატაკო ფაქტების შუბი, თორემ დიდხანს შეუძლია დადგეს და საზოგადოებაში უტიფრად ამტკიცოს — წმინდანი ვარო.

ვნახოთ, როგორ გამოიყურება „წმინდა“ მერაბი იმ ახალციხელი მშობლის გადასახედიდან, რომელმაც 1990-იან წლებში, საკუთარი ხელით აუტანა ფული შვილის, ძალიან ნიჭიერი და უნარიანი ყმაწვილის, იურიდიულ ფაკულტეტზე მოწყობის სანაცვლოდ. თუმცა იმ ყმაწვილს მოსაწყობი არაფერი სჭირდა, ეს აბუჩად აგდება და ცინიზმით გაჯერებული ქმედება პროფესორ ბერიძისა დღემდე გველის ნაკბენივით ახსოვს ბატონ ბ.გ. იგი აცხადებს, რომ სხვანაირად, რა დონეზეც არ უნდა ყოფილიყო ბავშვი მომზადებული, იგი ახალციხის უნივერსიტეტში ვერ მოხვდებოდა.

ისე ნურავინ იფიქრებს, რომ რამეს ვიგონებ, ან რესპონდენტები არ მყავს.

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*






*მე-8 გვერდიდან*

პროფესორ ბერიძის დანაშაულობების უამრავი მოწმე სტარტზეა და ყველა მათგანი მზადაა, სასამართლოზე ურყევად დაადასტუროს თავიანთი ნათქვამი.

დავიწყოთ ბატონი ბ.გ-თი, რომელიც ახალციხის საზოგადოებაში მიღებული პიროვნებაა, აი, რა მიამბო მან:

**— შეგიძლიათ, პირდაპირ დაწეროთ, მერაბ ბერიძისნაირი მექრთამე და გახრწნილი პიროვნების მხილება თითოეული იმ ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია, ვისაც მასთან ამგვარი შეხება ჰქონდა. მან ახალციხის უნივერსიტეტის თუ ფილიალის რექტორობის დროს, ზნეობრივად გარყვნა ჩვენი ახალგაზრდობა, მან საზიზღარი მაგალითი აჩვენა ჩემი შვილის თაობას და სხვებსაც, რომლებმაც წლები უყურეს და ითმინეს მისი პარპაში. ახლა ისევ გაუჩნდა ამ ვაჟბატონს სურვილი, ხელახლა შევიდეს იმ მდინარეში, რომელიც ერთხელ უკვე ძალიან დააბინძურა.**

**ახალციხე პატარა ქალაქია, აქ ყველამ ყველაფერი იცის. 1990-იან წლებში ჩვენს უნივერსიტეტზე არაჯანსაღი აზრი ყველგან მუსირებდა და ეს მერაბ ბერიძის დამსახურება გახლდათ. გულწრფელად მიკვირს, რატომ ჰგონია მას ისევ ძველი დრო, რატომ ცდილობს თვალებში ნაცრის შეყრას. მისი რექტორობის დროს უნივერსიტეტი კერძო სავაჭრო კანტორა გახლდათ. მე არ მერიდება ასეთი კატეგორიული განცხადების, რადგან ამ ვაჭრობაში იგი პირადად მყავს გამოცდილი.**

**1995 წელს ჩემი შვილი აბარებდა უნივერსიტეტში, რომელიც მაშინ თსუ-ს ფილიალი გახლდათ. მერაბის ე.წ. სპისოკის გარეშე იქ ჩიტი ვერ გაჭაჭანდებოდა, როგორც იტყვიან, მეც გავედი „კონტაქტზე". პირდაპირ მომთხოვეს 1500 დოლარი, აქედან 1000 დოლარი დასაწყისში, დანარჩენი მერე. პირველი ნაწილი მე პირადად ავუტანე მას სახლში. მაშინ მერაბი ცხოვრობდა რესტორან „იმერეთთან", უნივერსიტეტთან ახლოს. კარი მისმა მეუღლემ გამიღო, თუმცა თვითონაც იქვე იდგა ხალათმოსხმული. გადავეცი თანხა და წამოვედი...** დანარჩენი დეტალები, ალბათ, არცაა საჭირო. ამგვარი რამ აქ, ახალციხეში ჩემთვის უამრავ ადამიანს მოუყოლია. ეს ნორმა იყო, ჩემო ბატონო, ვიმეორებ, ნორმა და ახლა ეს ადამიანი ხელახლა ცდილობს გარექტორებას, რომ მერე ჩემი თაობის ადამიანთა ამჯერად შვილიშვილებს დაუმახინჯოს სული. სწორედ ეს არ მინდა მოხდეს, სწორედ ამიტომ ვამხელ მას და პირდაპირ ვეუბნები — სტოპ, მერაბ, გეყო, რა!..."

* * *

რა ვქნათ ახლა, ბატონო მერაბ, ღირს კია თქვენგან რექტორობაზე ოცნება?

რაღა დაგიმალო და, ჩემს გარდა, სხვებიც აპირებენ თქვენს ავსაქმეთა სააშკარაოზე გამოტანას. ხომ არ გგონიათ, ბატონი ბ.გ მარტოა, იგი პირველი მერცხალია, მალე სხვების მოსმენაც მოგიწევს. ასე ნება-ნება გაგახსენებთ და სულ მისხალ-მისხალ გამოვიტანთ სააშკარაოზე საკუთარ კანტორადგადაქცეულ თსუ-ს ფილიალში ჩადენილ დანაშაულობებს, იმ მეთოდებს, რითაც ასეთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერა ფულის საჭრელ ცეხად აქციე, რაშიც ოჯახის წევრიც გყავდა ჩართული. სიმართლე გითხრა, ძალიან არ მინდა ამ კუთხითაც „გამოგიყვანო წირვა". არაა ეს ჩემი სტილი, მაგრამ თუ დამჭირდა, თქვენი მეუღლის სიხისტის ფაქტებსაც წინ დაგიწყობთ.

ეს ერთი მეთოდი და ერთი მოწმე უკვე გამოაშკარავდა. მეორე მეთოდზე მეორე მოწმე ისაუბრებს.

## აქა ამბავი „შავი", „თეთრი" და „ლოკომოტივი" „სპისოკებისა"...

მერაბ ბერიძეს რექტორობის პერიოდში შემუშავებული ჰქონდა სამი სია აბიტურიენტებისთვის.

„შავი სპისოკი" — აქ ის კატეგორია ხვდებოდა, ვინც უნდა დაბლოკილიყო. „თეთრი სპისოკი" — ვინც უნდა გასულიყო და ყველაზე საინტერესო იყო „ლოკომოტივი სპისოკი", რომელიც გულისხმობდა ისეთი აბიტურიენტის გაყვანას, ვისაც თან რამდენიმე უნდა მიბმოდა.

ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტია ბატონი გ.ჟ., რომელიც უშუალოდ შეეჯახა ე.წ. ლოკომოტივი სპისოკის ფაქტს. იგი თავად იყო ახალციხეში მისაღებ გამოცდებზე. ვინაიდან ეს რესპოდენტიც მზადაა სასამართლოზე გამოსასვლელად, მე მისი დასახელებისგანაც მცირე ხნით შევიკავებ თავს. ბატონი გ. ჟ-ს თქმით, იგი 1993 წლიდან მუშაობდა ახალციხეში. კითხულობდა ლექციებს, 1997 წელს სამეცნიერო ხარისხის დაცვის შემდეგ მოხვდა მისაღებ გამოცდებზე.

**„იქ გამოიკვეთა რამდენიმე ბავშვი, ისინი ძალიან ძლიერები იყვნენ და ულაპარაკოდ იმსახურებდნენ უმაღლეს შეფასებას. როცა მე და კომისიის თავმჯდომარემ შევამოწმეთ ერთ-ერთი მათგანი, პირდაპირ თქვეს, ათიანი არ დაწეროო. ათიანით ვერ გავა, მაგრამ რვიანით გავაო. ყურებს არ დავუჯერე, ეგ როგორ-მეთქი. გვითხრეს, ეს სპეცარითმეტიკაა, თქვენ მაინც ვერ გაიგებთ და სჯობს, ცხვირი არ ჩაყოთ მაგ საქმეშიო. მე გავჯიუტდი. მაშინ ამიხსნეს, რომ ასეთ აბიტურიენტს რექტორი „ლოკომოტივის" ჯგუფს აკუთვნებდა. ესე იგი, მას უნდა შეესრულებინა „ლოკომოტივის" ანუ ორთქმავლის ფუნქცია და რამდენიმე ბავშვი მაინც უნდა „ჩაება" თავის შემადგენლობაში. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. იმწუთასვე გავაპროტესტე ეს უმსგავსობა და დავტოვე კომისია. ერთი პერიოდი, მინდოდა საქმე გამემწვავებინა, მაგრამ უნივერსიტეტის სახელს მოვუფრთხილდი. შემიძლია გითხრათ, რომ იმ პერიოდში მერაბ ბერიძეს მსგავსი კონფლიქტი ჰქონდა იურისტებთანაც".**

* * *

ჩემს გამოძიებაში ბერიძის „სპისოკებთან" დაკავშირებით, სხვა ფაქტებიც ამოტივტივდა. ეს მისი მუშაობის სტილი იყო. სტილი, რომელიც ყველამ იცოდა, მაგრამ ყველა დუმდა. საკითხავი კია, რატომ?

თუმცა ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც სხვა წყაროებმა მიამბეს და რასაც შემდგომ პუბლიკაციებში შემოგთავაზებთ. მანამდე კი ჩავთვალოთ, რომ ეს პირველი ყვითელი ბარათია არა იმდენად მერაბ ბერიძის მისამართით, არამედ უფრო იმათთვის, ვინც მთელი არსებით ცდილობს, ასეთი მძიმე რეპუტაციის მქონე პირის გარექტორებას.

მე ვიცი, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 19 ივნისს გაესაუბრა რექტორობის ორ კანდიდატს, თავად რექტორის მოვალეობის შემსრულებელ მერაბ ბერიძეს და მეორე კანდიდატს, პროფესორ გურამ კუტალაძეს, რომელიც წლების წინ მუშაობდა უნივერსიტეტში და რომელმაც ყველაზე უკეთ უწყის ის უკეთურობანი, რაც მაშინ „ბერიძის კანტორაში" ხდებოდა.

საბჭოს წევრთა უმეტესობა მე მიცნობს და მეც კარგად ვიცნობ მათ. ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევ, პირდაპირ მივმართო მათ და ვთხოვო, რომ ეს ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯერ ცნობად მიიღონ, მერე კი იმოქმედონ ისე, როგორც სინდისიერ მეცნიერს ეკადრება. დარწმუნებული ვარ, უმეტესობა ასეც მოიქცევა.

თუ საბჭოს წევრებიც ისურვებენ, მზად ვარ, შევხვდე მათ და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებიც გავაცნო მერაბ ბერიძის საქმიანობიდან. ისიც კარგად ვიცი, რომ თავად ამ საბჭოშია ერთი, ფულთან ერთად ნატურაზე მომუშავე პროფესორი, რომელიც ძალიან აქტიურად თანამონაწილეობდა იმ მანკიერ პროცესებში. ჩვენ ყვითელი ბარათების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით და „ნატურის" მოყვარულ პროფესორს შეუძლია თავადაც მიიღოს გადაწყვეტილება. მას მერაბ ბერიძისგან მინიჭებული უფლებით არ უნდა მიეცეს ნება, აკადემიური საბჭოს წევრის მანტიას ამოფარებულმა „გაუპრავოს" თავის „საბუტილნიკს" რექტორობა.

ბარემ, აქვე, ერთ მიმართვასაც მივაბამ. ჩემი ინფორმაციით, მერაბ ბერიძემ უკვე მოასწრო რამდენიმე საეჭვო ბრძანებულების გამოცემა, ამიტომ მივმართავ საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტსა და განათლების სამინისტროს, გამოყონ კომისია რექტორის მოვალეობის შესრულების პროცესში მის მიერ განხორციელებული მოქმედებების შესამოწმებლად.

და კიდევ, მაინტერესებს, როდის და ვინ დაინტერესდება იმ ფაქტით, თუ ვინ „შეუცურა" პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად ასეთი შავბნელი წარსულის მქონე პიროვნება.

ნამდვილად ვიცი, მას შემდეგ, რაც „რესპების" მხარდაჭერით მერაბ ბერიძე მეორედ შეუდგა რექტორის მოვალეობის შესრულებას, სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვნად დაეცა „ქართული ოცნების" ზოგადად და კერძოდ, პრემიერ ივანიშვილის რეიტინგი. რატომღაც მგონია, რომ მან არც იცის ეს მუხანათობა, თორემ რეაგირებას არ დააყოვნებდა. ამიტომ პირდაპირ მივმართავ ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურს, დაინტერესდნენ ამ ფაქტით. თუ არადა, იმედია, პრემიერთან პრესკონფერენციაზე ამას მე თავად მოვახერხებ.

**P.S. მაშ ასე, პირველი წითელ-ყვითელი ბარათები ამოწეულია, დანარჩენი მთავარი მსაჯის — ღირსეული საზოგადოების ღირსეული წევრების გადასაწყვეტია. ჩვენ გადაჭრით ვემიჯნებით უზნეობის პარპაშს. „ვერსიის" შემდეგ ნომერში გავაგრძელებთ ამ თემას, ამჯერად ახალი ფაქტებითა და ახალი მოწმეებით.**

## შსს-მ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს ნარკოტიკები გაანადგურა

შსს-მ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, საქართველოს მასშტაბით, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები გაანადგურა

ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა დროს ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული 2 კილოგრამი ჰეროინი, 1500 აბი სუბუტექსი, 800 აბი ექსტაზი და სხვა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები შესაბამისი წესების დაცვით გაანადგურა.

ნარკოტიკების განადგურების პროცესს შსს-ს თანამშრომლებთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

26 ივნისსვე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შსს-ს სამხარეო სამმართველოების თანამშრომლებმა „მარიხუანას" ველურად მზარდი ნარგავები გაანადგურეს. შესაბამისი წესების დაცვით ნარკოტიკული საშუალებების განადგურების ღონისძიება შიდა ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, ქვემო ქართლში, სამეგრელო–ზემო სვანეთში, გურიასა და აჭარაში ჩატარდა. მთელი საქართველოს მასშტაბით, სულ განადგურებულია 3209 კგ ნედლი მარიხუანა.

***„ვერსიანიუსი"***




## ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-2 განყოფილებისა და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცოლ-ქმარი, 1987 წელს დაბადებული როქსანა ა. და 1986 წელს დაბადებული საბერძნეთის მოქალაქე როუსლან ნ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა როქსანა ა-ს პირადი ჩხრეკისას ფოლგაში შეფუთული თეთრი ფხვნილი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, „ბუპრენორფინის" შემცველი 0,3373 გრამი ნარკოტიკული საშუალებაა. დაკავებულების საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი – ნარკოტიკული საშუალება „მეტადონის" შემცველი 142 აბი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმებისას როქსანა ა-ს „მეტადონის", ხოლო როუსლან ნ-ს ნარკოტიკული საშუალებების — „ბუპრენორფინისა" და „მეტადონის" ზემოქმედების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება როუსლან ნ-ს და როქსანა ა-ს მიმართ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი"***



## საგზაო წესების დარღვევისთვის ჯარიმები მცირდება

პარლამენტი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაწესებული საჯარიმო ტარიფების გადახედვას იწყებს. ამ მიმართულებით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. პროექტი ფრაქცია „ქართული ოცნება — ეროვნულმა ფორუმმა“ მოამზადა. ინიციატივის ავტორი დეპუტატი თემურ მაისურაძეა.

ინიციატივის თანახმად, მცირდება, როგორც საგზაო წესების დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობა, ასევე ამ ჯარიმის დროულად გადაუხდელობის გამო გათვალისწინებული სანქციები, ხოლო მისი გადახდის ვადები იზრდება. კანონპროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას, მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მძღოლი 40-ის ნაცვლად, 20 ლარით დაჯარიმდება.

კიდევ ერთი ცვლილების მიხედვით, მოტოციკლით, კვადროციკლით, ველოსიპედით ან სხვა მსგავსი ტიპის მოძრავი საშუალებით ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში გადაადგილებისას დადგენილი წესების დარღვევა 20-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, პირის 10 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით წლის განმავლობაში, გამოიწვევს 25 ლარის ოდენობით დაჯარიმებას, ნაცვლად 50 ლარისა, როგორც ამას ჯერ კიდევ მოქმედი კანონი ითვალისწინებს.

საჯარიმო სანქციები მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებისა და შუქნიშნის, ამკრძალავ ნიშნებზე გავლის წესის დარღვევის შემთხვევებზეც მცირდება. სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მძღოლის 100 ლარის ოდენობით დაჯარიმების ნაცვლად, მის 75 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ისეთ შემთხვევებში, როცა სიჩქარის გადაჭარბებას შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება მოჰყვება, მძღოლი, 250-ის ნაცვლად, 150-ლარიან ჯარიმას გადაიხდის.

მცირდება გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სანქცია. ასეთი ქმედება 25 ლარით დაჯარიმდება, ნაცვლად 50 ლარისა.

მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“) ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისთვის დაბრკოლების შექმნა გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით, ნაცვლად 50 ლარისა.

გარდა ამისა, ნახევრდება ჯარიმა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე და ამ დარღვევისთვის მძღოლი 100 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება. ასევე ნახევრდება ჯარიმა წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევებში და მისი ოდენობა 200 ლარიდან 100 ლარამდე მცირდება.

საგზაო და ამკრძალავი ნიშნების დარღვევა, რომელსაც შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება მოჰყვა, რომელმაც საცობი წარმოქმნა, მძღოლის 200-ის ნაცვლად, 100 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

*„ვერსიანიუსი“*



მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
იპოვეთ თქვენი www.versia.ge ვერსია

# „დღეს მთავარი ნაცმოძრაობის მიერ შექმნილი ავტორიტარიზმის გასამართლებაა!“

რუსუდან შელია
557-100-768

**24 ივნისს, გაზეთ „ვერსიისა“ და ტელე-რადიო კომპანია „ობიექტივის“ ერთობლივი პროექტის „ვერსიის საათის“ სტუმარი მწერალი და უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე გახლდათ, რომელიც პრემიერის განცხადებას გამოეხმაურა. მისი განცხადებით, სანამ ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება და ნაციონალური მოძრაობაც არ გასამართლდება, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება ნაადრევი იქნება. „ვერსია“ გადაცემის საგაზეთო ვარიანტს გთავაზობთ.**




— საქართველოში ჯანმრთელი პოლიტიკური პროცესი რომ წარიმართოს, აუცილებელია, საპრეზიდენტოსთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნოს. პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის 40%-იანი მანდატი რეალობას არ ასახავს, რადგან საზოგადოებაში ამ კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიმართ აბსოლუტურად ნეგატიური განწყობაა. დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს ნაციონალებზე მაღალი რეიტინგი აქვთ. მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლა ნოემბერში ნაადრევი იქნება, მით უმეტეს, ეს არაა ის წელიწადნახევარი ან ორი წელი, რომელსაც ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლისას დაგვპირდა.

— **განვმარტოთ, რატომ წარმოადგენს პარლამენტში უმცირესობით წარმოდგენილი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისთვის საფრთხეს და რატომ ვერ ახერხებს მმართველი გუნდი ნაციონალების ხელში არსებული ბერკეტების განეიტრალებას?**

— ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არასერიოზულად მიმაჩნია, თუმცა დღეს რეალობა ასეთია — სანამ ნაცმოძრაობა პოლიტიკაში ხელოვნურად იქნება, ქვეყანა წინ ვერ წავა. ნაციონალური მოძრაობა ადმინისტრაციულ რესურსს ჯერ კიდევ სათავისოდ იყენებს, ზეწოლას ახორციელებს ეთნიკური უმცირესობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე, ამასთან, საკანონმდებლო დონეზე დაჩქარებული წესით მისაღებ კანონებს ხელოვნურად ბლოკავს, ქმნის უაზრო აჟიოტაჟს მესამე და მეოთხეხარისხოვან საკითხებზე, რაც პოლიტიკური პროცესის განვითარებას აფერხებს... რაც მთავარია, ნაციონალური მოძრაობა საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ სერიოზულ ბერკეტებს ფლობს. ჩვენი მოქალაქეების ფული ნაციონალების ლობისტებზე იხარჯება, რომლის საშუალებითაც ისინი დასავლეთში საქართველოს იმიჯის დისკრედიტაციას წარმატებით ახორციელებენ.

— **გავიწყდებათ, რომ საზღვარგარეთ ლობისტები ხელისუფლებასაც ჰყავს!**

— პირადად შევესწარი, როგორ იცავდა „ქართული ოცნება“ ლობისტების საშუალებით საკუთარ ინტერესებს. პირველ ეტაპზე, როცა თინა ხიდაშელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა და ცოტნე ბაკურიასთან ერთად, კოალიციის პიარჯგუფს სათავეში ჩაუდგა, გარკვეული წარმატებები მართლაც არსებობდა. „ქართული ოცნების“ შტაბის მიერ გამოყოფილი თანხის საშუალებით აშშ-ს სოლიდურ გამოცემებში რამდენიმე პოზიტიური სტატია გამოქვეყნდა, თუმცა შემდეგ თინა ხიდაშელი ცოტნე ბაკურიასთან ერთად პიარჯგუფს ჩამოაცილეს და ეს მისია საკუთარ თავზე ლინკოლნ მიტჩელმა აიღო. მიტჩელის ლობისტური კომპანია ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან მისი კურსი სააკაშვილის პოლიტიკისაგან დიდად არ განსხვავდება და დღესაც ისე წარმართავს პროცესებს, რომ რეალურად, სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. „ვაშინგტონ პოსტის“ ბოლო წერილიც სწორედ იმის დადასტურება იყო, რომ ხელისუფლებამ ლობისტები არასწორად შეარჩია და ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები არსებობს. სხვათა შორის, სააკაშვილი „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტებს ძალიან კარგად იცნობს, მათ ხშირად უმოგზაურიათ ერთად, მისი პირადი სტუმრებიც არაერთხელ ყოფილან და ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია. სააკაშვილი არაოფიციალურად დღესაც ჩადის აშშ-ში და მისი პროპაგანდის მსოფლიოში გასავრცელებლად უზარმაზარ თანხებს პირადად იხდის.

— **ჩვენ მსოფლიო დონის გამოცემებზე ვსაუბრობთ და ამ მასშტაბის შეთქმულების თეორიებზე ლაპარაკი გადაჭარბებული არაა? ისიც საკითხავია, აქვს თუ არა უკვე ოპოზიციაში მყოფ ნაციონალურ მოძრაობას მსგავსი პიარკამპანიის საწარმოებლად ფინანსური რესურსი...**

— ეს ყველაფერი ოფიციალურად დაფიქსირებულია და, ამ შემთხვევაში, აბსტრაქტულ შეთქმულებებზე არ ვსაუბრობ. ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკაში კოალიციაზე დიდი გამოცდილება აქვს. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ხალხი 1992 წლიდან, მოქალაქეთა კავშირის პერიოდიდანაა ხელისუფლებაში. ბუნებრივია, ეს უპირატესობა აქვთ და ისიც კარგად იციან, როგორ ააწყონ ურთიერთობა დასავლეთთან, ან როგორ მუშაობს ლიბერალურ-კაპიტალისტური პოლიტიკა. მათთვის არც ჟურნალ-გაზეთების მოსყიდვაა უცხო ხილი, რასაც ისე აკეთებენ, მოსყიდვას არ ჰგავს — პირდაპირი მოქრთამვის გარეშე. რაც შეეხება რესურსებს, დიახ, ამის შესაძლებლობა ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგებს პირადი ანგარიშების საშუალებით აქვთ. მეტიც, მათ სახელმწიფოდან იმდენი ფული გაიტანეს, რომ მომავალი 10 წელი ლობისტებს ფულს თავისუფლად გადაუხდიან.

— **ბიძინა ივანიშვილის განცხადებას დავუბრუნდეთ — თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არასტაბილურობის განცდა იქნება, პოლიტიკაში დავრჩებიო. არასტაბილურობაში საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ძალის გამარჯვება უნდა ვივარაუდოთ თუ კოალიციის კანდიდატი, გარანტირებულად, ქვეყნის მომავალ პირველ პირად უნდა ჩავთვალოთ?**

— არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში. მთავარი საკითხი ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი ავტორიტარიზმის გასამართლებაა. სანამ ეს არ მოხდება, პოლიტიკური სისტემაც ვერ დალაგდება! ამორალურია, როცა დამნაშავეები საკუთარ თავს საზოგადოების დამოძღვრის უფლებას აძლევენ... ზოგადად, არგუმენტი ყველა სისხლისმსმელ რეჟიმს აქვს. ჰიტლერის რეჟიმსაც შეეძლო, თავი ემართლებინა გერმანელების წინაშე, საკუთარმა ერმა მათ ნიურნბერგის პროცესი მოუწყო. სწორედ იგივე უნდა განმეორდეს საქართველოშიც. პარალელურად კი, საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნოს! სანამ ეს არ გაკეთდება, საქართველოს მომავალი არ უწერია. სხვათა შორის, სააკაშვილის მოღვაწეობა, პერუს ყოფილი პრეზიდენტის ფუხიმორის კარიერას ძალიან ჰგავს, რომელიც შემდეგ სიმართლის კომისიამ გაასამართლა. ფუხიმორის შინაგან საქმეთა მინისტრ ვლადიმირო მონტესინოსაც, ვანო მერაბიშვილის მსგავსად, მთელი ქვეყნის მოსმენა და თვალთვალი ევალებოდა. თითქოს სააკაშვილმა მისი ბიოგრაფიული წიგნი წაიკითხა და ყველაფერი ქართულ რეალობას მოარგო. სხვათა შორის, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელებს სიკვდილის ბრიგადები ვუწოდეთ, სოზარ სუბარმა პირადად მითხრა, გაბრაზებულმა სააკაშვილმა დამირეკა და მეჩხუბა, რომელ სიკვდილის ბრიგადებზე საუბრობთ, პერუში ხომ არ ვართო. ანუ მან ზუსტად იცოდა, საქართველოში რომელი მმართველის გზასაც იმეორებდა, ამიტომ ნაციონალების რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს.

— **ნაცმოძრაობის გასამართლება ხელისუფლების წარმატების წინაპირობა იქნება?**

— ხელისუფლების წარმატება სულ სხვა საკითხია. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ დაუშვებელია, სახელმწიფომ ეთიკის ნორმების გარეშე იარსებოს და ტერორისტულ ძალებს თავისუფლად ყოფნის საშუალება ჰქონდეთ. საბჭოთა მემკვიდრეობიდან გადმოგვყვა, რომ სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებაზე ზეწოლის ფაქტებს ადვილად ვეგუებით, მაგრამ, იმედი მაქვს, მსგავსი მენტალიტეტი უახლოეს მომავალში შეიცვლება. ხელისუფლება, რომელიც „ესროლე, ესროლეს“ გვიკიჟინებდა და ნულოვან ტოლერანტობაზე პარლამენტის უმაღლესი ტრიბუნიდან მოგვიწოდებდა, დაუსჯელობას არ იმსახურებს. სამწუხაროდ, დღეს არაეთიკური, ამორალური სახელმწიფო ვართ, რომლის წინა ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს ქუჩაში აჩერებდა და ჯერ არმომხდარი ტერაქტის აღიარებითი ჩვენების მისაღებად, მამაკაცებს აუპატიურებდა. კიდევ უფრო ამორალურები ვიქნებით, თუ ამ ყველაფერს დავივიწყებთ! ასე რომ, თუ ორი ძირითადი საკითხი მოწესრიგდება, ამის შემდეგ ბატონი ბიძინა პენსიაზე გასვლას მოინდომებს თუ ბიზნესში დაბრუნდება, მისი ნებაა. ვფიქრობ, საპარლამენტო არჩევნები და ნაციონალების გასამართლება, ერთდროულად, ნოემბრისთვის ვერ მოესწრება და ალბათ, მარტამდე გაიწელება.

პოზიცია

# მექა ხანგოშვილი: „იქ, სადაც ჩეჩნების ძვლებია გაფანტული, სოჭის ოლიმპიადის ჩატარება დაუშვებელია!“

ანა ქევხიშვილი
557-10-44-22

**რატომ ცდილობს რუსეთი, საქართველოს „ტერორისტის“ იარლიყი მიაკეროს? ვინ არიან თბილისში დაკავებული ტერორისტები? რას წარმოადგენენ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ტერორისტებად შერაცხული საერთო ცნობიერების მებრძოლები და რა საფრთხე ემუქრება საქართველოს სოჭის ოლიმპიადაზე? ამ თემებზე, ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი მექა ხანგოშვილი გვესაუბრება.**



რატომ ცდილობს რუსეთი, საქართველოს „ტერორისტის“ იარლიყი მიაკეროს

**— ქალბატონო მექა, ორი დაკავებული, მიკაილ კადიევი და რიზვან ომაროვი, ბოლოს და ბოლოს, სადაურები არიან?**

— თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს დაკავებულები ჩეჩნები იყვნენ, მაგრამ შემდეგ თავად აღიარეს, რომ ორივე დაღესტნელია. სანამ გამოძიება არ დასრულდება, გამიჭირდება თქმა, ჰქონდათ თუ არა რაიმე შეხება ამ პიროვნებებს ლაფანყურის მოვლენებთან, თუმცა კადიევთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბათუმიდან თბილისში გადმოყვანისას, ის სამართალდამცავებს გაექცათ. შემდეგ რა მოხდა და სად იმყოფებოდა ხელახლა დაკავებამდე, არ ვიცი. სამწუხაროდ, საქართველოში ჩრდილოკავკასიელების უგზოუკვლოდ გაქრობის ფაქტები იშვიათი არაა. 2010 წელს, თბილისის ცენტრიდან დაიკარგა საიდ ჰუსეინ თაზბიევი, რომელიც თავის დროზე, ზაკაევის პირადი წარმომადგენელი იყო. დღემდე მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება და ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ, ბევრია.

**— თავდაპირველად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირები ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს, ხოლო შემდეგ, ბრალი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შენახვისთვის წაუყენეს...**

— ალბათ, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების შეცდომა იყო, როდესაც ინფორმაცია გაჟღერდა ტერორისტული აქტის მომზადების თაობაზე. ბოლო დროს, ხშირად იყენებენ არასათანადოდ ისეთ მნიშვნელოვან და სათუთ ტერმინებს, როგორიცაა „ტერორიზმი“ და „ტერორისტული აქტები“. ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ ტერმინებთან თამაშმა, შესაძლოა, რთული საერთაშორისო რეალობის წინაშე დააყენოს საქართველო. არ აქვს მნიშვნელობა, ამას ხელისუფლება ამბობს თუ ოპოზიცია, ქვეყნისთვის „ტერორიზმის“ იარლიყის მიკერებას ყველა უნდა მოერიდოს, რუსული მანქანაც ხომ სწორედ ამისთვის იბრძვის, ეს იმიჯი გვქონდეს და შემდეგ, საერთაშორისო დონეზე ყველა მოერიდოს ჩვენთან ურთიერთობას.

**— რუსეთი მუდმივად აპელირებს, რომ საქართველოში ტერორისტებს ამოზადებენ, რაც სერიოზული ბრალდებაა...**

— ამას იმით ავხსნი, რომ რუსეთთან ძალიან რთული პოლიტიკური ურთიერთობა გვაქვს; ამასთანავე, კარგად ვიცით, როგორი დამოკიდებულება აქვს კრემლს კავკასიასთან მიმართებაში, საქართველო კი საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და ამიტომ ცდილობენ, კავკასიას ტერორისტული იმიჯი მიაკერონ. ჩეჩნეთში შესვლის საბაბით, რუსეთმა პროვოკაციების არნახული მასშტაბები გამოიყენა. სულ მახსენდება ბოლო ოცი წლის განმავლობაში, რუსეთის ფედერაციის მიერ საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების გრძელი სია: მოსკოვის ცენტრში აფეთქებული სახლები, მეტროში მომხდარი ტერაქტი... ეს ყოველივე ჩვენს თვალწინ ხდებოდა და გამიზნული პროვოკაცია იყო. სწორედ ამის შემდეგ მოახერხეს ჩეჩნეთში შესვლა „წესრიგის დამყარების“ მიზნით... როდესაც ჩეჩნეთში მეორე ომის კამპანია დაიწყო და საქართველომ, დაახლოებით, რვა ათასი ჩეჩენი ლტოლვილი შეიფარა, დაიწყო მიზანდასახული ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა დაუჯერებელი ინფორმაციების გაჟღერებას პანკისის ხეობასთან დაკავშირებით — თითქოს ხეობაში იყო ნარკოტიკული ნივთიერებების გადამამუშავებელი და იარაღის დამამზადებელი ქარხნები, ასევე ტერორისტებისა და ბოევიკების საწვრთნელი ბაზები... სწორედ ასეთი კამპანიის შემდეგ რამდენჯერმე სცადეს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა პანკისის მიმდებარე ტერიტორიაზე. რუსეთი არასასურველ ქვეყნებს ტერორიზმის იარლიყს რომ აკერებს, ეს მისი მრავალჯერნაცადი მეთოდია და სწორედ ასეთი აქტიური კამპანიის შედეგად შეძლეს ჩეჩნეთის დაბომბვა. დღეს კი, იგივე საშიშროების წინაშე დგას დაღესტანი, ინგუშეთი და სრულიად ჩრდილოკავკასია. მათი მიზანი ჩეჩნეთის მსოფლიოში ერთ-ერთ ცხელ წერტილად გამოცხადება იყო...

**— შესაძლებელია, სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე ან მისი მსვლელობის დროს, რაიმე ინციდენტის შემთხვევაში, საქართველოდან გადასულ ტერორისტებს დაბრალდეს ყველაფერი?**

— არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ ამის მცდელობა იქნება. საერთოდ, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ სოჭის ოლიმპიადის — იქ, სადაც მილიონობით ჩერქეზის ძვლებია მიმოფანტული, მსგავსი ღონისძიების ჩატარება დაუშვებელია. ვიცი, ჩვენს სურვილს არავინ გაითვალისწინებს და რუსეთი ოლიმპიადას მაინც ჩაატარებს. ყველანაირად ეცდებიან, ჩეჩნები და, საერთოდ, ჩრდილოკავკასიელები საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ. ამ ფონზე, უნდა ვეცადოთ, მშვიდად გამოვიდეთ რთული ვითარებიდან, თუმცა არსებული პოლიტიკური რეალობა, ამის იმედს ნაკლებად მაძლევს.

**— ცოტა ხნის წინ, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, მზად ვარ საქართველოსთან თანამშრომლობისთვის, ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებთან ერთობლივი ძალისხმევით ბრძოლის მიზნითო. ასეთი სახის თანამშრომლობა ჩრდილოკავკასიელების რუსეთისთვის გადაცემას ითვალისწინებს?**

— პუტინის მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის ხარისხი იმდენად დიდია, რომ ასეთი სახის განცხადებები მხოლოდ ღიმილს იწვევს. პირადად მე, ამ ადამიანის არ მჯერა, რადგან, სამწუხაროდ, ამის მიზეზი მაქვს. თავის დროზე, სწორედ რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, ედუარდ შევარდნაძემ პუტინს დაბადების დღეზე საჩუქრად 5 ჩეჩენი მებრძოლი მიართვა... მახსოვს, მე და ნანა კაკაბაძე ციხესთან ვათევდით ღამეებს, რათა დარჩენილი რვა ჩეჩენიც არ გადაეცათ. შედეგად რა მივიღეთ? უარესად დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, რომელმაც საპასუხოდ სავიზო რეჟიმი დაგვიწესა. გულწრფელად გეტყვით, რუს ხალხთან პრეტენზია არ მაქვს. უკმაყოფილო ვარ კრემლის პოლიტიკის, რომელიც ჩრდილოკავკასიელების უბედურების ხარჯზე ცდილობს საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას.

**— შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, ვინ არიან „საერო ცნობიერების მებრძოლები“, რომლებსაც ტერორისტებთან შეხება არ აქვთ, მაგრამ კრემლი მათ „ტერორისტებად“ მოიხსენიებს?**

— ჩეჩნური წინააღმდეგობის სულისჩამდგმელები და გამგრძელებლები, იჩქერიელი მებრძოლები, რომლებმაც ცხოვრების დევიზად გაიხადეს დიდი ჯოხარის სიტყვები: „მონა, ვინც არ იბრძვის გათავისუფლებისთვის, იმსახურებს ორმაგ მონობას“, ან კიდევ „ჩვენ არ გავტყდებით, არ ვიტირებთ, არ დავივიწყებთ“... სწორედ ეს ადამიანები არიან მათთვის ტერორისტები, რადგანაც ძალიან კარგად იციან, რომ ამ ადამიანებზე დგას ჩეჩნობა, ჩეჩნური სახელმწიფო და ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ ჩეჩნეთმა დღემდე მოაღწია.

რეპლიკა

# გამოხმაურება გაზეთ „ვერსიის“ სტატიაზე

## „მედგრუპ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი მირიან ამირანაშვილი ბრალდებებს პასუხობს

**გაზეთ „ვერსიის“ 11 ივნისის ნომერში დაწერილი სტატიის — „წავკისის, შინდისის, კოჯრისა და ტაბახმელას მოსახლეობა სააკაშვილსა და უგულავას მიწების უკანონო გაყიდვასა და ტყეების გაჩეხვაში ადანაშაულებს“ — ვაქვეყნებთ საპასუხო წერილს, სადაც კომპანია „მედგრუპ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი, მირიან ამირანაშვილი, პუნქტობრივად პასუხობს სტატიაში მოყვანილ ყველა შეთითხნილ ბრალდებას.**

**მირიან ამირანაშვილი:** ინტერვიუს, რომელიც გაზეთ „ვერსიაში“ დაიბეჭდა, ახლავს მოსახლეობის მიმართვა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, სადაც ისინი ითხოვენ, შესწავლილ იქნას ჩვენი კომპანიის საქმიანობა და აღიკვეთოს უკანონობა. მედიის საშუალებებით, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია კომპანია „მედგრუპ ჯორჯიას“ საქმიანობის შესახებ და მოსახლეობამ კარგად იცის, რომ კოჯრის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება მსოფლიო დონის გამაჯანსაღებელი კომპლექსი და ამის შესახებ დეტალურ საუბარს აღარ დავიწყებ. რაც შეეხება სტატიას, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომელსაც მიმართვის ავტორი ადრესატებად ასახელებს, კარგად იციან ჩვენი საქმიანობის შესახებ, მათ იციან პროექტის შინაარსი და კონცეფცია. კონკრეტულად! პრემიერის აპარატის თანამშრომლები და ბიზნესის დამცველი, პირადად იცავდა ჩვენ პროექტს იმ კლანის მოქმედებებისგან, რომელსაც ალექსი ქოროღლიშვილი წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენი ინფორმაციით, პრემიერი საქმის კურსშია ჩვენი საქმიანობის შესახებ და მიესალმება კომპლექსის მშენებლობას. იმას, რომ პროექტი კანონიერად მიმდინარეობს, ისიც ადასტურებს, რომ ამ კლანის არაერთი საჩივრის ნიადაგზე, პროკურატურამ და ფინანსურმა პოლიციამ შეისწავლეს საქმის ვითარება და დადგინდა — უკანონობა საინვესტიციო პროექტის განხორციელების არც ერთ პუნქტში არ არსებობს. საქმის გასაცნობად, ავტორი ასევე მიმართავს გიგი უგულავას. ტერიტორია, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, თბილისის მერიის საკუთრებაში იყო. ქალაქის ქონების მართვის სააგენტოსთან ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული და, რა თქმა უნდა, მერიც პროექტის შესახებ საქმის კურსშია. რაც შეეხება ქალბატონ გარემოს დაცვის მინისტრს, ისიც ასევე ძალიან კარგად იცნობს კომპანიის საქმიანობას, რადგან სწორედ მისმა გამოგზავნილმა, სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა კომისიამ ადგილზე შეისწავლა როგორც ტყის მდგომარეობა, ისე პროექტის სხვა საკითხები და მათ ვერანაირი უკანონობა ვერ აღმოაჩინეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ტყის გაჩეხვაზე. სწორედ მათგან მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნო ბიზნესომბუდსმენი, როდესაც ჩვენი დაცვა დაიწყო. ამ შემთხვევაში არაეკოლოგიურ კატასტროფასთან, არამედ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ მოვლენასთან, როდესაც ბიზნესმენი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყის კეთილმოწყობის ვალდებულებას იღებს. ტერიტორიაზე განხორციელდა მხოლოდ მოვლითი და სანიტარული, ასევე გზის ასაშენებლად საჭირო ჭრა. ყველა ეს ქმედება კანონის ფარგლებშია განხორციელებული. მიმართვის ადრესატია ასევე ბატონი გიორგი ცაგარეიშვილი, რომლისთვისაც ასევე ცნობილია ჩვენი პროექტის შესახებ. ასე რომ, ყველა ადრესატი და არა მხოლოდ ისინი, იცნობენ პროექტის შინაარსს, სამართალდამცავებს შესწავლილი აქვთ ამ სტატიაში მოყვანილი ყველა შეთითხნილი ბრალდება და არანაირი კანონდარღვევა აღმოჩენილი არ არის.

რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებებს და ბრალმდებლებს. კანონის ფარგლებში, პირდაპირი მიყიდვის წესით მოხდა მიწების შესყიდვა. მილიონ ორასორმოცდაათი ათას ლარად კომპანიამ 22 ჰექტარი მიწა შეისყიდა საინვესტიციო ვალდებულებით, რაც გულისხმობს პროექტში დამატებით სამი მილიონ ექვსასი ათასი დოლარის დახარჯვის აუცილებლობას და პლუს მიმდებარე სარეკრეაციო ზონის კეთილმოწყობასა და გზის მშენებლობას. წერილში ნახსენები შემოღობვა მოხდა მხოლოდ ერთი მიზნით. ტყის კეთილმოწყობისას აუცილებელი გახდა სარეკრეაციო ზონის პირუტყვისგან დაცვა, მაგრამ ეს შემოღობვა, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, რადგან ამ ჯგუფის ორგანიზებით მოხდა ღობის ვანდალურად დაზიანება. ტყის გაკაფვის ბრალდებაზე უკვე ვუპასუხე. რა თქმა უნდა, არ არსებობს არანაირი შეზღუდვა მოსახლეობისთვის ტყეში გადაადგილებაზე. თუ იქ მოსახლეობის ხელმოწერებია, დარწმუნებული ვარ, ისიც გაყალბებული, რადგან წავკისის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებული იყო ჩვენ მშენებლობაზე, ხელფასს იღებდნენ კომპანიისგან და კარგად იციან, რა შენდება ტერიტორიაზე. მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობა ამ წელიწადნახევრის განმავლობაში, არც ერთხელ გვიგრძნია. წინააღმდეგობას გვიწევს მხოლოდ ერთი ოჯახი, რომელსაც მატერიალური ინტერესი აქვს მიწებთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე მრავალჯერ ვახსენეთ თემურ ფეიქრიშვილი, რომლისაგანაც მომდინარეობს ყველა ეს შეთითხნილი ბრალდება. ეს კლანი ფლობს ასიათასობით კვადრატული მეტრის მიწის ფართობს. რამდენადაც გამოაშკარავდა, ხშირ შემთხვევაში, მიწები უკანონოდ აქვთ მიტაცებული და ახლა ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად და ძვირად მოგვყიდონ ჩვენ. იმის გამო, რომ ინვესტორმა მათგან კი არა, სახელმწიფოსგან შეიძინა ტერიტორია საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად, ისინი შანტაჟის ყველა ფორმას მიმართავენ, რათა კიდევ დარჩეთ მიწების კოლოსალურ ფასად მოყიდვის შანსი.

ჯანდაცვა

# „პაციენტთა უფლებები ისევ უხეშად ირღვევა“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**კოალიცია „ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში“ ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადვოკატების, მედიის, სამედიცინო კლინიკების იურისტებისა და ექიმების შეხვედრა გაიმართა. ირღვევა თუ არა მომხმარებელთა უფლებები ჯანდაცვის სფეროში? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხის მისაღებად, ჯანდაცვის საკითხებში ექსპერტს მაკა კვაჭაძეს ვესაუბრეთ.**

— ჯანდაცვის სფეროში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, პრობლემების მთელი ციკლია — სისტემის გაუმართავი ფუნქციონირება, ინფორმაციულ შიმშილს განიცდის პაციენტიც და სამედიცინო პერსონალიც. არც ერთმა არ იცის საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ... ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან არც ერთია ბოლომდე მიყვანილი. მისასალმებელია, რომ ახალი სახელმწიფო პროგრამებიდან გამომდინარე, სამედიცინო სისტემის ხელმისაწვდომობა იზრდება, მაგრამ არსებული ხარვეზები უნდა შევისწავლოთ და გამოვასწოროთ. ამ ფონზე, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ცდილობს, რამდენიმე კომპონენტი მოვიცვათ, საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდოთ, ჩავატაროთ კვლევები, მოსახლეობის გამოკითხვა... ფაქტია, ჯანდაცვის სისტემაში შედეგს მყისიერად ვერ ვხედავთ და ამას წლები სჭირდება.

— **მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები როგორია?**

— ძირითადად ჩივიან, რომ დიდხანს უწევთ რიგში ყოფნა და არ აქვთ ინფორმაცია ყველა პროგრამაზე, რასაც სახელმწიფო სთავაზობს. გასაგებია, ეს ინფორმაცია შესაბამისი დაწესებულებების კედლებზე გამოკრულია და პერიოდულად, მედიითაც შუქდება, მაგრამ ეს არაა საკმარისი. სხვადასხვა ჯგუფისთვის ტრენინგების ჩატარებისას დავრწმუნდით, რომ ძალიან ბევრ ადამიანს, უბრალოდ, არ აქვს ინფორმაცია. ამ დროს მასმედიის როლი განუსაზღვრელია — სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის არსი გასაგებად უნდა მიეწოდოს მოსახლეობას; კარგი იქნება, ამ საკითხზე გადაცემები, თოქ-შოუები... მომზადდეს და მოსახლებამ ინფორმაცია სისტემატურად მიიღოს... პრობლემას წარმოადგენს სადაზღევო კომპანიებთან ურთიერთობა. ასე რომ, პაციენტთა უფლებების თვალსაზრისით, კვლავ მწვავე პრობლემების წინაშე ვდგავართ.

### რატომ არ აქვს მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

— **დღევანდელი მთავრობა რამდენად ეფექტურად ახერხებს ამ ხარვეზების, თუნდაც ეტაპობრივ აღმოფხვრას?**

— ბუნებრივია, პირველ რიგში, მთავრობაა დაინტერესებული, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა წარმატებით განხორციელდეს, რადგან მისი ამოქმედებისთვის უზარმაზარი თანხები გამოიყო. აუცილებელია, ხელისუფლებამ არსებულ გამოწვევებზე დროული რეაგირება მოახდინოს. ყველას გვესმის, რომ არც ერთი რეფორმა ხარვეზებისა და პრობლემების გარეშე არ მიმდინარეობს.

— **ჯანდაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რა უნდა გაკეთდეს, პირველი ივლისიდან რეფორმა უფრო წარმატებული რომ იყოს?**



— მხოლოდ სამედიცინო სერვისების შეთავაზება პაციენტების პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, აქცენტი ხარისხიან მომსახურებაზე უნდა გაკეთდეს. კომპლექსური პრობლემები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული... მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა ბოლომდე მივიყვანოთ და ამის შემდეგ გავაანალიზოთ მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ნებისმიერი პროგრამის განხორციელებამდე უნდა შედგეს კვლევა და განისაზღვროს, რას გვაძლევს ეს პროგრამა, რა რისკებს შეიცავს და როგორია პრევენცია. ეს თუ არ გავითვალისწინეთ, ნებისმიერი პროგრამა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ პროექტად დარჩება, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ამ სფეროში არასამთავრობო სექტორის მოსაზრებებს გაიზიარებს.

საზოგადოება

# „საკონცენტრაციო ბანაკში გამოგვამწყვდიეს, ჩვენი დახოცვა სურთ!“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**უკვე მეოთხე დღეა, ნაძალადევის რაიონში, ერისთავის №8-ში, ყოფილი „ელექტროაპარატის“ შენობაში შეჭრილი ადამიანები არალეგალურ პატიმრობაში ჰყავს დაცვის სამსახურს. მათ არც შენობიდან გამოსვლის საშუალებას აძლევენ და არც ასვლა-ჩასვლის ნებას რთავენ. 4 დღეა შენობის კედელზე ბანერებია გაკრული: „მეგობრებო! ჩვენ ვებრძვით უსამართლობას, რომელიც საქართველოში მძვინვარებს. ჩვენ ვართ პოლიტიკის მსხვერპლნი, ვითხოვთ სამართლიანობას. ჩვენ გვინდა სიცოცხლე!“ „ხალხო! მტრის გარემოცვაში ვართ. ჩვენმა მთავრობამ სასიკვდილოდ გაგვიმეტა. გადაწყვიტეს პურის, წყლისა და ჰაერის გარეშე დაგვტოვონ. გთხოვთ, დაგვიდგეთ გვერდით. ბარბაროსობას მოვუღოთ ბოლო. გვიშველეთ!“ მიუხედავად იმისა, რომ შენობაში მცირეწლოვანი ბავშვები ცხოვრობენ, მუშები შენობის დემონტაჟს მაინც განაგრძობენ. დაცვის სამსახური კი, რომელიც ობიექტზე რამდენიმე დღის წინ მივიდა, შენობაში არავის უშვებს. მათ შორის არც ჟურნალისტებს. იქ მცხოვრებ ადამიანებს ჟურნალისტებთან ურთიერთობას უკრძალავს და თუ ვინმე ინტერვიუს მიცემას დააპირებს, ემუქრებიან და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. დაცვამ არც „ვერსიაზე“ დაუშვა გამონაკლისი, ამიტომაც ტყვეობაში მყოფი ადამიანები შენობის მეორე სართულიდან გვესაუბრნენ.**



ერისთავის №8-ში მაცხოვრებლები ბიძინა ივანიშვილს შველას სთხოვენ!

**ლელა შავლუხაშვილი:** „ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. არც საჭმელს გვაწვდიან, არც წყალს, ყველანაირი საარსებო წყარო მოგვისპეს. ყველას მივმართეთ, მაგრამ არავინ მოგვაქცია ყურადღება. სანამ სახელმწიფო ჩვენს პირობებს არ გააუმჯობესებს, აქედან არ გავალთ. მე-4 დღეა ვშიმშილობთ — გარეთ არ გვიშვებენ და ვერაფერს ვყიდულობთ. ამ მდგომარეობაში 11 ოჯახი ვართ. დახმარებას ვითხოვთ! ქალს ბრმანაწლავი ასტკივდა, 3 დღე აქ გვეწვინა, გარეთ რომ გაგვეყვანა, აღარ შემოუშვებდნენ. ბოლოს ბრმანაწლავი გაუსკდა, წაიყვანეს და გაუკეთეს ოპერაცია. საავადმყოფოდან რომ მოიყვანეს, არ შემოუშვეს — ახალნაოპერაციებმა ღამე ეზოში გაათია. დღეს ეს ქალი ძლივს ადგა და სამართლის საძიებლად წავიდა. გაერო-ს წარმომადგენლობას მიაკითხავს. აქ კერძო მეპატრონემ გამოგვკეტა. გარეთ რომ გამოვიდეთ, შიგნით აღარ შეგვიშვებენ, ქუჩაში დავრჩებით. ფაშისტების დროს არ ხდებოდა ის, რაც აქ ხდება. 40 სიცხით ბავშვი მიწევს, არ ვიცი, რა სჭირს. ექიმთან რომ წავიყვანო, მერე აღარ შემოგვიშვებენ. ჩვენი დახოცვა უნდათ! ეს ამბავი ნაძალადევის მაჟორიტარ თამარ კორძაიასაც შევატყობინეთ, მაგრამ არც კი მოვიდა. კორძაია ჩვენთვის არ არსებობს, ნაძალადევის რაიონს დეპუტატი არ ჰყავს! არანაირი რეაგირება არ მოახდინა. არჩევნების მერე არაფერი შეცვლილა!



**ციური შეროზია:** „წყალი და პური რომ შემოგვაწოდოს ვინმემ, იმის საშუალებასაც არ გვაძლევენ. ქვემოთ რომ ჩავიდეთ, აღარ შემოგვიშვებენ. პირველ სართულზე ერთი ოჯახი ცხოვრობს. არ შეუძლია ზემოთ ამოვიდეს. ქვემოთ ჩასვლის ნებას არ გვაძლევენ. დაცვა ორივე სართულზე დგას, კარი აჭედეს, კიბე ჩაამტვრიეს. გვაშიმშილებენ! საქართველოში უცხოელის ინტერესებს იცავენ, ჩვენსას არა! დემონტაჟს ვინც ახორციელებს, ამბობს, ივანიშვილის პარტიაში ვარ, უნდა დავანგრიო თბილისში ძველი შენობები, ჯართი უნდა მოვაგროვოო. ამ შენობის მეპატრონე ვიღაც ჰოლანდიელია. მიწა სხვისია. ბატონ ივანიშვილს ვთხოვთ, ყურადღება მოგვაქციოს. თუ ეყოფა ნამუსი, უსახლკარო ადამიანები გარეთ გაგვყაროს ან დაგვეხმაროს. მე-4 დღეა წყალი არ გვაქვს. ვიცოდით, რომ ზაქარია შველიძე დაცვას მოგვაყენებდა, ამიტომ 40 ლიტრი წყალი მოვიმარაგეთ და იმას ვიზოგავთ, წვეთწვეთობით ვსვავთ. არც მთავრობიდან მოსულა ვინმე ჩვენთან, არც მერიიდან, არც გამგეობიდან... ეს შენობა ვისია, გაურკვეველია — ვითომ მეწილეები არიან, რომლებიც ერთმანეთში ვერ მორიგებულან“.

**მზისადარი ქარდავა:** „თვალებდასიებული, ავადმყოფი ბავშვი მიწევს სახლში. შენობის ნგრევისას რაღაც ჩაუვარდა და თვალებს ვერ ახელს, დაცვა კი სასწრაფოსაც არ უშვებს შენობაში. ექიმები რომ მოვიდნენ, უთხრეს, აქ არავინ ცხოვრობსო და უკან გააბრუნეს. წასასვლელი არსად გვაქვს. აქ 26 წლის ბიჭი ცხოვრობს. 6 წლის რომ იყო, აფხაზეთში, აფხაზებმა მშობლები სახლში დაუწვეს, რის შემდეგაც ბავშვს ფსიქიკა შეერყა... და ასეთ ადამიანს არ უშვებენ შენობაში, ღამეს ქუჩაში ათევს — რა ქნას იმ საწყალმა ბიჭმა, არც სახლი აქვს, არც მშობლები ჰყავს. ვთხოვთ მთავრობასა და ბიძინა ივანიშვილს, გვიშველოს. საკონცენტრაციო ბანაკში ვართ!“

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | | | | | 1 | 9 | |
| 3 | 7 | | 8 | | | | | |
| | 1 | | | 6 | | | | 3 |
| | | 8 | | 2 | 7 | | | 6 |
| | | | | 8 | | | | |
| 7 | | | 5 | 9 | | 3 | | |
| 4 | | | | 7 | | | 6 | |
| | | | | | 1 | | 3 | 4 |
| | 3 | 1 | | | | | 2 | 9 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | | | 6 | | 3 |
| | | 3 | | 2 | | 8 | 7 | |
| 8 | | | | 3 | | | 5 | |
| | | 5 | 8 | | 9 | | | |
| | | | | 6 | | | | |
| | | | 2 | | 4 | 3 | | |
| | 1 | | | 9 | | | | 4 |
| | 8 | 9 | | 1 | | 2 | | |
| 3 | | 7 | | | | | 8 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 8 | | | | |
| 3 | | | | 5 | 2 | | 1 | |
| | | 6 | | | 3 | 5 | | 8 |
| 5 | | | | | 7 | 2 | 9 | |
| | | | | 2 | | | | |
| | 2 | 7 | 5 | | | | | 4 |
| 8 | | 5 | 3 | | | 6 | | |
| | 4 | | 8 | 1 | | | | 5 |
| | | | | 7 | 5 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | | | 4 | |
| | | 2 | 9 | | 1 | | | |
| | 1 | | | | | | 6 | 3 |
| | | | | 8 | 9 | 4 | 5 | |
| | | 7 | | | | 2 | | |
| | 8 | 5 | 2 | 1 | | | | |
| 3 | 5 | | | | | | 7 | |
| | | | 5 | | 6 | 3 | | |
| | 2 | | | | | 6 | | |



1. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული
2. დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელი
3. ალტაცების გამომხატველი შორისდებული იაპონიაში
4. მსოფლიოს უდიდესი კუნძული
5. თვალის ფერადი გარსი
6. ადამიანი, რომელმაც განმეორ. ჩაიდინა დანაშაული
7. „საქორწინო მარშის“ კომპოზიტორი
8. ძველინდური ეპოსი
9. მცენარეული საღებავი
10. საათის მექანიზმის ნაწილი
11. ქართული ხალხური ზღაპარი
12. ჯამბაზი ... ჰოპი „სალამურას თავგადასავალში“
13. გიგანტური ტალღები წყნარ ოკეანეში
14. „კბილებიანი„ ბოსტნეული
15. ჯეოსელის ბარათი
16. საქართველოს ვალუტა
17. დიასახლისი, ქალბატონი ესპანეთში
18. სახელდახელოდ შეთხზ. და შესრულებული ნაწარმოები
19. სამეურნეო მუშაკი
20. დიდი ჩაქუჩი
21. თხელი, საფლობი ტალახი
22. ზრდილობიანი დასტური
23. იაპონური ელექტროტექნიკის ფირმა
24. ვაშლის ღვინო
25. ველური კომში
26. დიდი თეფში
27. იაპონური თეატრი
28. მიხოს ქმარი კახურ ანეგდოტებში
29. მდინარე შვეიცარიაში
30. ლეგენდარული ჩაძირული კუნძული
31. „ტიტანიკის“ ჩაძირვის მიზეზი
32. სახოტბო ლექსი
33. მოსწავლის მაგიდა
34. მწვანით მოსილი მინდორი
35. დიდი ბრიტანეთის შემადგენელი ნაწილი
36. უკრაინის პარლამენტი
37. პირველი საბჭოთა ელჩი ქალი
38. ისლანდიელი მომღერალი ქალი
39. დეკორატიული ყვავილი
40. ტუტე ლითონი
41. ქალის სნეულებათა ექიმი
42. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
43. ამერიკელი მოდელიორი ანა ...
44. უფლის ათი მცნება
45. შლიმანის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ქალაქი
46. ხელნაწერის პირობითი ასოითი ნიშანი
47. მუსლიმან ქალთა ტრადიციული კაბა
48. ტოპ-მოდელი ... მაკფერსონი
49. ბილიარდის ჯოხი
50. ქვეყანა ევროპაში
51. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
52. სტენდალის ნამდვილი გვარი
53. სტალონეს შინაურული სახელი
54. ქართული პოეზიის დედოფლის სახელი
55. ხის საჭრისი, რომელსაც მოქანდაკეები იყენებენ თიხისაგან რისამე ძერწვისას
56. კავშირი ქართულ ენაში
57. სუსტი ქარი, ნიავი
58. ინდო-ნეზიური ჯუჯა კამეჩი
59. ასტრიდ ლინდგრენის „ყაჩაღის ასული ...“
60. ჰიტლერის ცოლის სახელი
61. ოდისევსის სამეფო
62. შაქრის ლერწმის მოსავლის აღება კუბაში
63. პუშკინის გადიის სახელი
64. ყველაზე პატარა თითი
65. მოძრაობის გადამცემი მბრუნავი ღერო მექანიზმებში
66. სახელდახელოდ მოხარშული ხორცი
67. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
68. ბიბლიური პერსონაჟი
69. (ძვ.) იგივეა, რაც საყვარელი, ხარჭა
70. ფრანგი ფერმწერი
71. ბეისბოლის მონათესავე თამაში რუმინეთში
72. „ტუზი“ ქართულად
73. ჭაობის მცენარე
74. ცეცხლის მნათი ნაწილი
75. ფუჭი, უშედეგო
76. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
77. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
78. შენობის საძირკველი
79. ჯუჯა ხეების გამოზრდის ხელოვნება
80. შეძახილი კონცერტზე ნომ. გამ. მოთხოვნით
81. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი
82. სამხ. და ჩრდ. ამერიკის მომცველი ზოოგეოგრაფიული დანაყოფი
83. სასროლი კოჭი კოჭაობის თამაშში
84. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება II მსოფ. ომში
85. იაპონიის ფულის ერთეული
86. წამლის ბურთულა
87. სამი წერტილი კამათელზე
88. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი



# ჰოროსკოპი
## 28 ივნისი

**ვერძი** — ვერძებს დღეს შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდამჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ, მათი სიმპათია და ავტორიტეტული ადამიანების მფარველობა დაიმსახუროთ. გამოავლინეთ შემოქმედებითი აზროვნება.

**კურო** — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯი გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც ღირს შემოსავლების ახალი წყაროს ძიება. ყურადღებით იყავით ურთიერთობისას და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

**ტყუპები** — თქვენი კონტაქტურობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს ან ახლობლებს და მაშინვე მიიღებთ მათგან სასარგებლო რჩევებს.

**კირჩხიბი** — თქვენი მონდომება დღეს ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და დასახულ მიზანს მიაღწევთ. წარმატება გელით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ პირად ცხოვრებაშიც. შეგიძლიათ კარდინალურად, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება.

**ლომი** — დღეს მომხდარი მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ. უარს ნუ ეტყვით საკუთარ თავს, ცოტა წაიზარმაცოთ. დღე სასარგებლო კონტაქტების დამყარებას დაუთმეთ. შესაძლოა, უცხოელი სტუმარიც მიიღოთ.

**ქალწული** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის ილუზიების დღეა. გეგმები და დაპირებები, შესაძლოა, სიმართლე არ აღმოჩნდეს. მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ, უკეთეს დროს დაელოდეთ.

**სასწორი** — შექმნილი ვითარება იმ საქმეში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ, რაზეც დიდხანს ოცნებობდით. უფრო კონკრეტული გახადეთ ეს ოცნება და ცხოვრებაში მისი რეალურად განხორციელება დაიწყეთ.

**ღრიანკალი** — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ ყველა დასახულ საქმეს დაასრულებთ, მომავლისთვის ახალი შესაძლებლობებიც მოგეცემათ. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული დღეა. გეჩვენებათ, რომ არავის უყვარხართ. მაგრამ ნუ ინერვიულებთ, ასე არ არის, უბრალოდ, მოწყენილი და სევდიანი დღეა.

**მშვილდოსანი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები მშვიდ დღეს ჰპირდებიან. შესაძლოა, ცოტა საქმეშ გადაგდალოთ, მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

**თხის რქა** — დღეს ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოავლენთ გარშემომყოფებისადმი. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

**მერწყული** — დღე წარმატებული იქნება: წინააღმდეგობების, უსიამოვნებების გარეშე, ყველაფერს მიაღწევთ, რასაც დაისახავთ მიზნად. ამ ნიშნის წარმომადგენელი მანდილოსნები ეფექტურად გამოავლენენ საკუთარ ნიჭსა და უნარს. თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ემოციებს ნუ გამოხატავთ — წამოწყებულმა რომანმა, შესაძლოა, ბევრი ტკივილი მოგიტანოთ.

**თევზები** — დღე, შესაძლოა, მძიმე აღმოჩნდეს და იმედგაცრუებამაც არ დააყოვნოს, თუკი არ მოძებნით საკუთარი პოზიციების გასამყარებელ გზებსა და მეთოდებს, არ გამოიჩენთ ინიციატივასა და შეუპოვრობას. დიდია ალბათობა წინააღმდეგობებისა, რაც ახალ სამსახურს შეიძლება ეხებოდეს.

# მალე თავის გადანერგვაც შესაძლებელი იქნება

იტალიელი ნეიროქირურგი სერჯო კანავერო დარწმუნებულია, რომ ადამიანის თავის გადანერგვის ოპერაციები სულ მალე ჩვეულებრივი ტრანსპლანტაციის სახეს მიიღებს. სხვადასხვა ორგანიზმის ზურგის ტვინის ორი სექციის სავარაუდო გაერთიანება მედიცინას ახალ დონეზე აიყვანს, — წერს გამოცემა Surgical Neurology International. სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ თავის გადანერგვა მხოლოდ ათეული წლების შემდეგ იქნება შესაძლებელი, დღეს კი ასეთი ტექნოლოგია, უბრალოდ, არ არსებობს, თუმცა იტალიელი მედიკოსი ირწმუნება, რომ თითქმის დაასრულა ამ პროცესისთვის პრაქტიკული ბაზის მომზადება — „თუ ტრანსპლანტაციას ღრმა ჰიპოთერმიის ქვეშ, ისე ჩავატარებთ, რომ არ დაზიანდეს ტვინის სტრუქტურა და შევძლებთ ისეთი ნივთიერების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს, ასე ვთქვათ, ნერვული დაბოლოებების „გადაბმის“ შემდგომ რეგენერაციას“. აღსანიშნავია, რომ აპენინებზე სიკვდილის შემდგომი ტრანსპლანტაციის საკითხს დიდი ხანია განიხილავენ. მომხრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი ცდები თანამედროვე მეცნიერების განვითარებას ხელს შეუწყობს, კათოლიკური ეკლესია კი ამის სასტიკი წინააღმდეგია.



# სოციალურ ქსელებს უხუცესი მომხმარებლებიც ჰყავს



ბრიტანელი უხუცესი ქალბატონი, ლილიან ლოუ „ფეისბუქში“ ცოტა ხნის წინ დარეგისტრირდა, თუმცა მან მალევე მიიქცია ყურადღება, რადგან ახლახან შეუსრულდა 103 წელი და „ფეისბუქის“ ყველაზე ხანდაზმული მომხმარებელი აღმოჩნდა. ლილიანი ქსელში კვირაში ორჯერ მაინც შედის და შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ეკონტაქტება, ეს ფაქტი კი „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტებმა გაასაჯაროეს, რის შემდეგაც ლილიანის დამეგობრების სურვილი „ფეისბუქის“ 1000-ზე მეტ მომხმარებელს გაუჩნდა. როგორც Pew Research Center-ის ანალიტიკოსები აცხადებენ, ამ პოპულარული სოციალური ქსელის 45-დან 66 წლამდე ასაკის მომხმარებელთა რიცხვი, 2008 წელთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა. ასევე სწრაფად იზრდება „ფეისბუქზე“ 71 წელს გადაცილებულ ადამიანთა რაოდენობაც.

# ტორტზე სანთლების ჩაქრობა საშიშია?



„მწვანე კონტინენტზე“ მალე ბავშვებს დაბადების დღის ტორტზე სანთლების ჩაქრობას აუკრძალავენ. ამ ხერხით ავსტრალიაში საშიში მიკრობების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას აპირებენ. ადგილობრივმა სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ფილტვებიდან ჰაერის გამოდევნისას, ბავშვები მიკრობების გავრცელებას უწყობენ ხელს, რომელიც შესაძლოა, ტორტზე მოხვდეს. გარდა ამისა, მკვლევარები მშობლებს საბავშვო დღესასწაულებზე ინდივიდუალური ჭურჭლის გამოყენებას ურჩევენ. ამ ინიციატივამ, რომელიც ავსტრალიის ჯანდაცვისა და სამედიცინო კვლევების საბჭოს ეკუთვნის, მშობლების უკმაყოფილება გამოიწვია. მათი აზრით, ეს ინიციატივა დღესასწაულებს მოსაწყენ შეკრებად აქცევს.



# ჰოროსკოპი
## 29 ივნისი

**ვერძი** — საკმაოდ სასიკეთო და ნაყოფიერი დღეა ვერძებისთვის. შეეცადეთ, ისე იმოქმედოთ, როგორც დაგეგმეთ. ცხადად გამოვლინდება თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, შეგიძლიათ ნებისმიერი კოლექტივის კარგი ხელმძღვანელი იყოთ. შესანიშნავ ურთიერთობებს ამყარებთ მაღალი თანამდებობის პირებთანაც.

**კურო** — დღეს უფრო დაკვირვებული იყავით ახალი ნაცნობების შეძენისას — შემთხვევითმა გატაცებებმა, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას იმ ურთიერთობას, რაც ძალიან ძვირფასია თქვენთვის. ფულადი დანაკარგიც გელით, ხარჯების მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ დახმარებაზე უარს ვერავის ეუბნებით.

**ტყუპები** — ნუ შეეცდებით რამდენიმე საქმის ერთად კეთებას, ასე სასურველ შედეგს ვერასოდე მიიღებთ. დასვენების დღეებამდე მიმდინარე საქმეებს მიხედეთ. საღამოს შეგიძლიათ დრო მეგობრების კამპანიაში გაატაროთ. სადმე გამგზავრებას თუ დააპირებთ, მხოლოდ წარმატება და ბედნიერება შეგხვდებათ.

**კირჩხიბი** — დღეს ძალისხმევის გარეშე ვითარებას ისე შემოაბრუნებთ, რომ წარმატება თვითონ ჩაგივარდებათ ხელში, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტად არ გაჯიუტდებით და ნებისმიერ ფასად არ დაიწყებთ თქვენი მოსაზრების დაცვას. თუ გიყვართ საქმე და მოგწონთ ყოველდღიური მოვალეობები, საინტერესო ურთიერთობა დაამყარეთ კოლეგებთან.

**ლომი** — თქვენ დროში მოგზაურობა გელით. რასაკვირველია, ფიზიკურად დროის მანქანით გადაადგილება არ მოგიწევთ, აი, მოგონებების დიდი ტალღა კი საკმაოდ შორს გაგიტაცებთ. კარგი დღეა მიზანმიმართული საქმიანი მგზავრობისთვის, სპორტით დაკავებისთვის. რეალური წარმატების მისაღწევად მეტი მოქმედება და ნაკლები საუბარი მოგიწევთ.

**ქალწული** — დღეს ვერაფერი დაგაკარგვინებთ წონასწორობას. რაც უნდა გიბიძგონ კონფლიქტებზე, კამათზე, რაც უნდა გაიძულონ, არაადეკვატურად მოიქცეთ — საკუთარ ემოციებს მაინც მკაცრად გააკონტროლებთ. დღეს მნიშვნელოვანი იქნება უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის შეძენის საკითხი. ოჯახურ საქმეებში კი მეტი ენერგიულობა გამოიჩინეთ.

**სასწორი** — სხვისი პრობლემების მოგვარება უკეთესი დროისთვის გადადეთ და დღეს მხოლოდ საკუთარი საქმეებით დაკავდით, გახსოვდეთ, რომ ყველაფერს ერთად თუ შეეჭიდებით, ვერც ერთი საქმის დასრულებას ვერ შეძლებთ.

**ღრიანკალი** — დღეს მოთმინება და სიმშვიდე დაგჭირდებათ, რადგან მოგიწევთ რამდენიმე ადამიანს კომპიუტერთან მუშაობა ასწავლოთ, რაც იოლი სულაც არ იქნება და ამიტომ, ამ ფაქტს ისე მოეკიდეთ, როგორც ტესტს გამძლეობაზე.

**მშვილდოსანი** — დღეს ბევრი რამის რამდენჯერმე გაკეთება მოგიწევთ, რამაც შესაძლოა, ფსიქოლოგიური წონასწორობა დაგაკარგვინოთ, ყველაფრის მიტოვება და, უბრალოდ, დასვენება მოგინდებათ, მაგრამ, სამაგიეროდ, დაწყებულ საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანთ.

**თხის რქა** — დღეს ურთიერთობაში განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოთ. თქვენი ძველი ნაცნობებიდან ვიღაცას სურს, გამოგიყენოთ და ავანტიურაში ჩაგითრიოთ. ნურავის მისცემთ საშუალებას, ისარგებლოს თქვენი გულუბრყვილობით, თავი აარიდეთ ნაჩქარევი, წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმას. სჯობს, დღის პირველ ნახევარში წამოწყებული საქმეები დაასრულოთ, საღამოს კი ოჯახურ გარემოში დაისვენოთ.

**მერწყული** — დღეს განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები ნოვატორობასა და ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონე მერწყულებისთვის. ფინანსების მხრივაც დღე კარგად ჩაივლის. საღამოს კი შეეცადეთ, ახლო მეგობრებს შეეხმიანოთ და ცოტა ხნით მაინც შეხვდეთ.

**თევზები** — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. კარგი დღეა შოპინგისთვის. გაიარეთ მაღაზიებში და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ. საღამო ოჯახურ კომპანიაში გაატარეთ, თუ გართობა გსურთ, მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე წადით.

# ს უ დ ო კ უ მ ა ნ ი ა

### ა დ ვ ი ლ ი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | | | 4 | | 9 | | |
| | 9 | | 8 | | | | | |
| | | | | 3 | | 2 | 6 | |
| | | | | | | 1 | 4 | |
| | 3 | | 9 | | 8 | | 2 | |
| | 5 | 7 | | | | | | |
| | 8 | 5 | | 9 | | | | |
| | | | | | 1 | | 9 | |
| | | 9 | | 6 | | | 8 | 7 |

### ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | | | 3 | | 1 |
| 4 | 9 | | | | | | | |
| 2 | | | | 6 | | | | |
| | | 3 | 6 | 2 | | 1 | | |
| | | 9 | 3 | 8 | 1 | 5 | | |
| | | 6 | | 9 | 7 | 8 | | |
| | | | | 7 | | | | 5 |
| | | | | | | | 3 | 4 |
| 8 | | 7 | | | | 2 | | |

### რ თ უ ლ ი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | 5 | 8 | 9 | | 3 |
| 4 | | | | 9 | 7 | 2 | 6 | |
| | | 8 | 4 | | | | 7 | |
| | | | | | | 6 | 1 | |
| | | | | 8 | | | | |
| | 3 | 5 | | | | | | |
| | 1 | | | | 2 | 8 | | |
| | 8 | 9 | 7 | 3 | | | | 1 |
| 5 | | 4 | 8 | 1 | | 3 | | |

### ე ქ ს პ ე რ ტ ი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | 1 | | | |
| | 1 | | | | | | | 2 |
| | | | | 4 | | | 9 | |
| | | 3 | | 9 | 5 | 8 | | 4 |
| | | 2 | | 7 | | 9 | | |
| 9 | | 8 | 6 | 3 | | 5 | | |
| | 4 | | | 6 | | | | |
| 7 | | | | | | | 1 | |
| | | | 8 | | | | | 3 |



## ჰოროსკოპი

30 ივნისი

***ვერძი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს ყველაფერი სასიკეთოდ აეწყობა, მთავარია, ძალები სწორად გადაანაწილოთ. საღამოს ეცადეთ, საფუძვლიანად დაისვენოთ.

***კურო*** — დღეს მიღებული გადაწყვეტილებით ცხოვრებას გაირთულებთ. იმის გააზრება, რომ რაღაც უნდა დათმოთ, დამღუპველად მოქმედებს თქვენზე. ყოველთვის ცდილობთ, დაეხმაროთ ახლობლებს, მაგრამ როცა თავად გჭირდებათ დახმარება, ამ დროს ახლოს არავის იკარებთ.

***ტყუპები*** — დღეს მოგეთხოვებათ კონკრეტული საქციელი და არა ტყუილი საუბარი. გეძლევათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი, მით უმეტეს, თუ საქმე უცხოელ პარტნიორებთან გაქვთ.

***კირჩხიბი*** — დღეს უმჯობესია, ფინანსურ ოპერაციებს თავი აარიდოთ. მეტი დრო დაუთმეთ რომანტიკულ თავგადასავლებს. საკუთარი თავი გაანებივრეთ და საჩუქარი მიუძღვენით, რადგან დღე საუკეთესოა ახალი ნივთის შესაძენად.

***ლომი*** — დღეს თქვენ შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისაა და პრობლემების მოსაგვარებლად. მზად ხართ, დაეხმაროთ მათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, შეგიძლიათ, საღამოს კარგად გაერთოთ, დაღლილობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

***სასწორი*** — რთული დღეა. შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს, მოგიწევთ ხარჯის შემცირება, თუმცა მალე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. ამ დღეს დადებული გარიგებები შემოსავალს მოგიტანთ. კარგი დღეა ოჯახური საქმეებისთვის. შესაძლოა, ახალი რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებაც.

***ღრიანკალი*** — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე ვალდებულება მთელ ყურადღებასა და ენერგიას წაიღებს, ამიტომ აჯობებს, საღამო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

***მშვილდოსანი*** — დღეს ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, რომელიმე კომპანიონის უსინდისობის გამო.

***თხის რქა*** — დღეს შეგიძლიათ თამამად აიღოთ ვალი და თანხა საქმეში დააბანდოთ, თქვენი გეგმები კოლეგებსა და უფროსობასთან განიხილეთ, საღამოს შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

***მერწყული*** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ, თუმცა ამაღლებული განწყობის შესანარჩუნებლად, სჯობს, წვრილმანებს ყურადღება არ მიაქციოთ.

***თევზები*** — დღეს თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ და საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები ჩიხში შევა.




## სექსუალურობის კრიტერიუმები ბრიტანულად

120 ათასი ბრიტანელი მამაკაცის გამოკითხვების შედეგად, როგორც იქნა, გაირკვა ის კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ძლიერი სქესის წარმომადგენლები პარტნიორს ირჩევენ. ამ მხრივ მთავარ არგუმენტად მამაკაცებმა ნისლიანი ალბიონიდან ერთხმად დაასახელეს ინტელექტი, გარეგნობა კი მხოლოდ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მესამე პოზიციაზე, გამოკითხვების მიხედვით, იუმორის გრძნობაა. გამოკვლევამ ბოლო დროს ჩამოყალიბებული ტენდენციაც ახსნა, როცა ასაკოვანი მამაკაცები ახალგაზრდა გოგონებთან არჩევენ რომანის გაბმას. აღმოჩნდა, რომ ეს დაკავშირებულია მამაკაცის ორგანიზმის დაბერების პროცესთან, რაც ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ხელს უშლის, სექსუალური აქტიურობა ძველებურ დონეზე შეინარჩუნონ, განსაკუთრებით კი მათი ასაკის ქალებთან, რადგან მშვენიერი სქესს სწორედ ამ დროს აქვს „ყვავილობის“ პერიოდი. ამიტომ მამაკაცები ცდილობენ, კავშირი ჰქონდეთ საწინააღმდეგო სქესის გამოუცდელ წარმომადგენლებთან, რომელთათვის უფრო მნიშვნელოვანია რომანტიკა, ვიდრე პოტენცია.



## წინა ნომერში გასული სკანვორდების პასუხები

მე-14 გვერდი: 1. რაზიკაშვილი; 2. ბამბა; 3. როკი; 4. ზოროასტრიზმი; 5, კვირინალი; 6. ბუმერანგი; 7. „მერი“; 8. არფა; 9. აკორდი; 10. ოკეანე; 11. ირაო; 12. ბრა; 13. არე; 14. ფორუმი; 15. სადილი; 16. აპოლოგეტი; 17. სპორა; 18. სკრა; 19. ანეტო; 20. ეტნა; 21. ალუ; 22. რახი; 23. მიტრა; 24. ლაიოსი; 25. ნირი; 26. ომარი; 27. ორლი; 28. ზეთი; 29. „სეატი“; 30. ერთაოზი; 31. მკლავჭიდი; 32. რაში; 33. აბგა; 34. თვე; 35. მუსხელიშვილი; 36. ბრუტო; 37. იმელმანი; 38. მართვე; 39. არუე; 40. ივრითი; 41. ოსტი; 42. იეტი; 43. დეკორაცია; 44. ტიუდორები; 45. ოვაცია; 46. „აუდი“; 47. რუხი; 48. დადიანი; 49. ჭა; 50. მიქსერი; 51. იდეა; 52. იოდი; 53. აცე; 54. მელ; 55. აისი; 56. აზდაკი; 57. თრითინა; 58. „იარისი“; 59. თსუ; 60. მაქს; 61. ნოლტი; 62. კოპი; 63. ურო; 64. „ტიიდა“; 65. ზორო; 66. რიწა; 67. ომი; 68. ასტონ; 69. ბრერა; 70. რუპია; 71. ვარაზი; 72. ორუელი; 73. კუპრი; 74. ელი; 75. დუ; 76. სციპიონი; 77. პაი; 78. წირვა; 79. კვოტა; 80. ნიუ; 81. კურო; 82. სუ; 83. იკაო; 84. აკინაკი; 85. კათეტი; 86. დია.

მე-16 გვერდი: 1. მეგალომანია; 2. მისტრალი; 3. არმრესტლინგი; 4. ოფიცერი; 5. ანათემა; 6. იმამი; 7. ფელინი; 8. ლიანოსი; 9. ტყე; 10. ასი; 11. ცათამბჯენი; 12. ანოფელესი; 13. სტუდია; 14. სკვაირი; 15. აფრა; 16. ემი; 17. სტავრა; 18. რემა; 19. ადიულტერი; 20. ჯონ; 21. ნესი; 22. „ველა“; 23. იბნ; 24. ნაია; 25. უფა; 26. ორსკი; 27. ნევადა; 28. ტრიტონი; 29. სტილეტი; 30. სარსუელა; 31. სოული; 32. ოდრი; 33. „სანტოსი“; 34. ნიქსონი; 35. ოკულარი; 36. რიფი; 37. მახრა; 38. იარ; 39. სოლ; 40. ეტა; 41. ტროპარი; 42. ფიორდი; 43. ჯინსი; 44. „ლექსუსი“; 45. ლარი; 46. ლია; 47. კუტი; 48. აკრი; 49. „აია“; 50. ომალო; 51. „ლომისი“; 52. ბაო; 53. სელი; 54. დანი; 55. ივ; 56. სარიდანი; 57. ირაო; 58. ბაკალეა; 59. გონერილა; 60. აირი; 61. და; 62. დასი; 63. იან; 64. ავი.

**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

1. სიმებიან-ხემიანი მუსიკალ. საკრავი
2. ძვ. ასურეთის დედოფალი
3. გარეული ფრინველი
4. კვების მრეწველობის მსოფლიო გიგანტი
5. ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული
6. სპორტული ცურვის სტილი
7. ქმრის მამა
8. მოღალატე, განდგომილი
9. ინდიელთა ტომი
10. ინდოეთის დედაქალაქი
11. ფიზიკის ნაწილი, სწავლობს ბგერას
12. სისხლძარღვი
13. სატელეფონო „სიტყვა“
14. თვალის კაკლის თეთრი გარსი
15. მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი
16. ტბა ფინეთში
17. „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი
18. პათოლოგიური შიში უცხოელების მიმართ
19. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი
20. უმაღლესი სასწავლებ. ტიპი
21. წმინდა ნინოს დედა
22. აშშ-ის პრეზიდენტი
23. დაქირავებული მკვლელი
24. ჯადოქარი, მისანი
25. მწერალი ... სტოკერი
26. ახალი წლის პირველი სტუმარი
27. ნ. ბარათაშვილის ლექსი
28. საავადმყოფო ძვ. საქართველოში
29. მწერალ დუმბაძის სახელი
30. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
31. აფრიკის ქვეყანა ...-დ,ივუარი
32. სიმინდის ყვავილედი
33. ჭერის ანტონიმი
34. მედლის უკანა მხარე
35. ლეგენდ. ამერიკელი მოკრივე
36. სამოას დედაქალაქი
37. მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში
38. იტალ. ეროვნული გმირი ... მოსულიშვილი
39. გაზაფხულის ყვავილი
40. ინდოელი ქალის კაბა
41. პატარა ფლეიტა
42. ხელოვნური საერთაშორისო ენა
43. მოკრივე ... ტაისონი
44. მზის სა-გალობელი რაჭაში
45. იგივეა, რაც დურბინდი
46. საყანედ გაკაფული ტყე
47. ღამის ფრინველი
48. საჭადრაკო კო-ეფიციენტების ავტორი
49. საჰაეროს აღმნიშვნ. წინსართი
50. ცხენის კუდის ბეწვი
51. რუსი ბალერინა ... პავლოვა
52. სერბების საფეხრხულო ცეკვა
53. მადამ ბოვარის სახელი
54. ძველებური ოთხადგილიანი ეტლი, გადასახდელი სახურავით
55. ავსტრიელი ფიზიკოსი
56. ჩვილი ბავშვის პირველი „სიტყვა“
57. სამკურ-ნალო მცენარე
58. იტალიის უდიდესი მდინარე
59. ვარსკვლავის წვერი
60. ინგლისელი მუსიკოსი
61. დასტურის აღმნიშვნელი ნაწილაკი
62. ვიეტნამის დედაქალაქი
63. ისტ. მხარე სამხრეთ საქართვ.



# შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# კლასიკური მუსიკა ადამიანს კურნავს



ბრიტანელი სწავლულების აზრით, კლასიკურ მუსიკას ადამიანების განკურნების ძალა გააჩნია და ის არაერთ სენს ებრძვის წარმატებით. მეცნიერებმა ნისლიანი ალბიონიდან შესაბამისი კვლევები ჩაატარეს და საინტერესო დასკვნებიც დადეს. აღმოჩნდა, რომ ქრონიკული დაღლილობის დაძლევაში ადამიანს ბრამსის მუსიკა, მაგალითად, „კონცერტი ვიოლინოსთვის“ ან „უნგრული ცეკვა“ დაეხმარება. ემოციურ სტრესს მუსორსკის „სურათები გამოფენიდან“ მოგიხსნით. თუ ადამიანი გაღიზიანებულია, კარგი იქნება, ჩაიკოვსკის შემოქმედება მოისმინოს, ამ შემთხვევაში ბრიტანელი მკვლევარები უპირატესობას „ზამთრის ვნებანს“ ანიჭებენ. თუკი თავისტკივილი გაწუხებთ, გერშვინის „ამერიკელი პარიზში“ ჩართეთ ან მენდელსონის „გაზაფხულის სიმღერასა“ თუოგნინსკის „პოლონეზს“ მოუსმინეთ. უძილობის შემთხვევაში, უებარი საშუალება ყოფილა ისეთი მუსიკალური ნაწარმოებები, როგორიცაა ოფენბახის „ბარკაროლა“, მენდელსონის „უსიტყვო სიმღერა“ და გრიგის „პერ-გიუნტი“. გულის დაავადებებს, თურმე მენდელსონის „საქორწინო მარში“ შველის. კლასიკური მუსიკის გარდა, დეპრესიიდან გამოსასვლელად ასევე შეგიძლიათ ჯაზურ კომპოზიციებს ან ბლუზს მოუსმინოთ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.